

სარეზიდენტო პროგრამა

“შინაგანი მედიცინა”

(ხანგრძლივობა 3 წელი – 33 თვე)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სასწავლო პროგრამის მიზნები

1. შინაგანი მედიცინა - წარმოადგენს დამოუკიდებელ საექიმო სპეციალობას, რომელშიც, ისევე როგორც სხვა სამედიცინო სპეციალობებში აუცილებელია დიპლომისშემდგომი პროფესიული დახელოვნება და უწყვეტი სამედიცინო განვითარება. “შინაგანი მედიცინა” ორიენტირებულია მოზრდილებში შინაგანი ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკასა და არაქირურგიულ მკურნალობაზე.

2. პროგრამის მიზანს წარმოადგენს რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელის (შემდგომში რეზიდენტი) დიპლომისშემდგომი მზადება. კურსის გავლის პერიოდში რეზიდენტი ეუფლება თეორიულ ცოდნასა და ინტერნისტის კომპეტენციებს და ეძლევა უფლება ჩააბაროს ექიმთა სასერთიფიკაციო გამოცდა სპეციალობაში "შინაგანი მედიცინა".

3. პროგრამის მიზანია როგორც ზოგადი, ისე სპეციალობით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევა.

მუხლი 2. სპეციალობის აღწერილობა

1. შინაგანი მედიცინა არის დამოუკიდებელი საექიმო სპეციალობა, რომელიც ორიენტირებულია მოზრდილთა დაავადებების დიაგნოსტიკაზე, მკურნალობასა და პრევენციაზე. ექიმს, რომელიც სპეციალიზირებულია შინაგან მედიცინაში, ინტერნისტი (შემდგომში - ინტერნისტი) ეწოდება. ინტერნისტი არის ინტეგრირებული ცოდნის მქონე სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს რეზიდენტურის სპეციალური კურსი - “შინაგანი მედიცინა”. აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ ინტერნისტი სრულიად ფლობს მოზრდილებში შინაგანი ორგანოების დაავადებების დიაგნოზის, დიფერენციული დიაგნოზის, მკურნალობისა და პრევენციის საფუძვლებს. ინტერნისტი უნივერსალური ცოდნის მქონე სპეციალისტია, რომელიც მკურნალობს არა რომელიმე ცალკეული ორგანოს ან ორგანოთა სისტემის დაავადებას, არამედ პაციენტს მთლიანობაში. ინტერნისტის მოვალეობაა მართოს რთული, მულტისისტემური და ქრონიკული დაავადებები.

2. ზოგადი კომპეტენციები:

- ა) პაციენტზე ორიენტირებული კვალიფიციური მკურნალობის უზრუნველყოფა;
- ბ) კომპლექსური და ქრონიკული დაავადებების მკურნალობა;
- გ) ჯანდაცვის სისტემაში კოორდინაცია;
- დ) ხარისხის უზრუნველყოფა;

- ე) კვალიფიციური პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- ვ) გერიატრიულ მედიცინა;
- ზ) მტკიცებულებაზე დამყარებულ პრაქტიკა დაავადებათა პრევენციასა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში;
- თ) კომუნიკაცია კოლეგებთან, პაციენტთან, პაციენტის ახლობლებთან და სხვა.

3. თეორიული ზოგადი ცოდნა:

- ა) გულ-სისხლძარღვთა დაავადებები;
- ბ) სასუნთქი სისტემის დაავადებები;
- გ) საყლპავის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები;
 - d) თირკმლის და საშარდე გზების დაავადებები;
 - e) რევმატოლოგიური დაავადებები;
- ვ) კლინიკური გერიატრია;
- ზ) სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები;
- თ) ალერგიული დაავადებები და იმუნური სისტემის დარღვევებთან დაკავშირებული მდგომარეობები;
 - ი) ენდოკრინული დაავადებები და მეტაბოლიზმის დარღვევა;
 - კ) კანის პრობლემების ზოგადი დიაგნოსტიკა;
 - ლ) ინფექციური დაავადებების ზოგადი დიაგნოსტიკა;
 - m) ონკოლოგიური დაავადებების ზოგადი დიაგნოსტიკა;
 - n) ნევროლოგიური პრობლემების ზოგადი დიაგნოსტიკა;
 - ო) ფსიქიკური და ფსიქოსომატური პრობლემების (ასთენიზაცია, დეპრესია, დემენცია, დელირიუმი, დისომნია, ვეგეტატიური აშლილობები) ზოგადი დიაგნოსტიკა;
 - პ) კრიტიკული სიტუაციების ზოგადი დიაგნოსტიკა და მართვა;
 - ჟ) ფტიზიატრიული პრობლემების ზოგადი დიაგნოსტიკა;
 - რ) ფარმაკოთერაპია, ვინაიდან პაციენტების უმრავლესობას აღენიშნება ერთზე მეტი სამედიცინო პრობლემა და საჭიროებენ მრავლობითი მედიკამენტების მიღებას, ყველა ინტერნისტმა უნდა იცოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ფარმაკოლოგიური საშუალებების მოქმედება, ფარმაკოლოგიური მექანიზმები, ფარმაკოდინამიკა, ელიმინაცია, ჩვენებები, უკუჩვენებები, გვერდითი ეფექტები;
 - ს) კლინიკური ფარმაკოთერაპიის პრინციპები;
- ტ) კორტიკოსტეროიდები;
 - უ) ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები;
- ფ) ანტიკოაგულანტები;
- ქ) ანტიბიოტიკები და სხვა ანტიინფექციური საშუალებები;
- ღ) ანალგეტიკები და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები;
- ყ) ჰორმონები (ინსულინი, ორალური ჰიპოგლიკემიური საშუალებები, თირეოიდული ჰორმონებისა და თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონების ჩამანაცვლებელი პრეპარატები, კონტრაცეპტივები, ანაბოლური პრეპარატები და სხვა ჰორმონჩანაცვლებითი მედიკამენტები);
 - შ) ანტიჰიპერტენზიული საშუალებები;
 - ჩ) ჰიპოლიპიდემიური საშუალებები;
 - ც) დიურეტიკები;
 - ძ) ანტიკონვულსანტები;
 - წ) სედატიური საშუალებები და ფსიქოტროპული საშუალებები;
 - ჭ) ანტიარითმიული საშუალებები;

- ბ) ბრონქოდილატატორები და საინჰალაციო მედიკამენტები;
- ჯ) იმუნომოდულატორები;
- 3) გერიატრიულ პაციენტებში მედიკამენტების გამოყენების თავისებურებები.
- 4. ინტერნისტს უნდა შეეძლოს შემდეგი გადაუდებელი მდგომარეობების დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება, პროფილაქტიკა, და მკურნალობა:
 - ა) ჰიპერტენზიული კრიზი;
 - ბ) მწვავე კორონარული სინდრომი;
 - გ) გულის რიტმისა და გამტარებლობის მწვავე მოშლა;
 - დ) გულის მწვავე უკმარისობა;
 - ე) სუნთქვის მწვავე უკმარისობა;
 - ვ) ბრონქული ასთმა;
 - ზ) მწვავე გასტრიტი;
 - თ) მწვავე ქოლეცისტიტი;
 - i) მწვავე პანკრეატიტი;
 - k) მენინგიტი;
 - l) სეფსისი;
 - m) სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან;
 - n) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია;
 - o) მოზრდილთა რესპირატორული დისტრეს სინდრომი;
 - p) თირკმელების მწვავე უკმარისობა;
 - l) თირკმლის კოლიკა;
 - r) შოკი (კარდიოგენული, ჰიპოვოლემიური, ანაფილაქსიური, ენდოტოქსიური, ჰემოტრანსფუზიული, ტრავმული, ტოქსიური შოკის სინდრომი);
 - s) მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის დარღვევები;
 - ტ) სითხისა და ელექტროლიტური ბალანსის დარღვევები;
 - უ) კოაგულაციის დარღვევები, დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედების სინდრომი;
 - ყ) ინსულტი;
 - ფ) ეპილეფსიური კრუნჩხვები;
 - ქ) დიაბეტური კეტოაციდოზი და ჰიპეროსმპლარული კომა;
 - ღ) სტუპორი და კომა;
 - ყ) მწვავე მუცელი;
 - შ) ზურგის ტვინის კომპრესია;
 - ჩ) გულისრევა, ლებინება, დიარეა;
 - ც) წამლების გადაჭარბებული დოზით მიღება და მედიკამენტური ინტოქსიკაცია.
- 5. ზოგადი უნარ-ჩვევები:
 - ა) ანამნეზის შეკრება და ფიზიკური გამოკვლევა;
 - ბ) კლინიკური და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია;
 - გ) დიაგნოსტიკური გადაწყვეტილების მიღება;
 - დ) მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
 - ე) დაავადებების პირველადი და მეორადი პრევენცია;
 - ვ) ძირითადი დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების შესრულება;
 - ზ) რაციონალური ფარმაცოთერაპიის შერჩევა და ნებისმიერი ჯგუფის მედიკამენტის დანიშვნა;

თ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში მაღალი დონის პროცედურების განხორციელება;

- ი) გერიატრიული პაციენტების მართვა;
- კ) სამკურნალო კვების რაციონის დანიშვნა;
 - ლ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპების ცოდნა;
 - მ) შემთხვევათა პრევენტაცია (კონსილიუმები, კონფერენციები და სხვა საჯარო აქტივობები);
 - ნ) კომუნიკაცია და ურთიერთობები პაციენტებთან და კოლეგებთან;
 - ო) ბიოეთიკის პრინციპების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში;
- პ) დამოუკიდებლად ცოდნის შეძენა და გაღრმავება, უწყვეტი სამედიცინო განათლება;
- ჟ) მულტიპროფესიულ ჯგუფში მუშაობა, კლინიკურ კვლევაში მონაწილეობა;
- რ) სამკურნალო და დიაგნოსტიკური პროცედურების მართვა.

6. ინტერნისტს უნდა შეეძლოს ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება:

სისხლი
სისხლის საერთო ანალიზის ინტერპრეტაცია;
სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;
სისხლის იმუნოლოგიური და ბაქტერიული კვლევის ინტერპრეტაცია;
სისხლის სეროლოგიური კვლევის ინტერპრეტაცია; არტერიული სისხლის გაზების და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის და ელექტორლიტური ბალანსის მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
კოაგულაციის შეფასება, ჰემოსტაზიოგრამის ინტერპრეტაცია;
ჰორმონალური კვლევები და მათი ინტერპრეტაცია.
შარდი
შარდის საერთო ანალიზი;
შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია.
ნახველი
ნახველის მიკროსკოპიული (ციტოლოგიური) და ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების ინტერპრეტაცია.
პლევრის პუნქტატი
პლევრის პუნქტატის ციტოლოგიური, ბიოქიმიური მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
სინოვიალური სითხის ლაბორატორიული კვლევის ინტერპრეტაცია;
თავ-ზურგტვინის სითხის ლაბორატორიული კვლევების ინტერპრეტაცია;
ფილტვის ფუნქციური მაჩვენებლების შესრულება და ინტერპრეტაცია;
ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია;
ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
ჰოლტერ-მონიტორირების ინტერპრეტაცია;
გულის ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;

კორონარული ანგიოგრაფიის ინტერპრეტაცია;
ტრანსეზოფაგური ექოკარდიოსკოპიის ინტერპრეტაცია;
დატვირთვის ტესტების ინტერპრეტაცია;
ფილტვების რენტგენოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
ფილტვების კომპიუტერული ტომოგრაფიის ინტერპრეტაცია;
ბრონქოსკოპიის შესრულება და ინტერპრეტაცია;
კუჭის წველის ლაბორატორიული კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია;
დუოდენური ზონდის ჩაყენება და მიღებული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
განავლის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური ინტერპრეტაცია;
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი და ენდოსკოპიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;
ღვიძლის და სანადვლე გზების ულტრასონოგრაფიული, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;
შარდის გამომყოფი სისტემის რენტგენოლოგიური, რადიოიზოტოპური, ულტრასონოგრაფიული, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;
სახსრების რენტგენოლოგიური და ულტრასონოგრაფიული კვლევის ინტერპრეტაცია;
ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
ძვლის ტვინის და ლიმფური ჯირკვლების ბიოფსია.

7. ინტერნისტი უნდა ფლობდეს შემდეგ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მანიპულაციებს:

ბაზისური უნარები	ძირითადი პროცედურები (სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტთან ერთად)	მაღალი დონის პროცედურები (სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტთან ერთად)
პაციენტის ანამნეზის შეკრება; ფიზიკური გასინჯვა; ავადმყოფობის ამბულატორიული და სტაციონარული ისტორიის წარმოება; დიაგნოსტიკური გადაწყვეტილების მიღება; დიაგნოსტიკური გამოკვლევების შერჩევა; თერაპიული (სამკურნალო) გეგმის	პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია; სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი; ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია); ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება; შარდის ბუშტის კათეტერიზაცია; სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის მექანიკური ვენტილაცია, გულის	ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია; ლუმბალური პუნქცია - ოფციური; პარაცენტეზი - ოფციური; არტერიული - წნევის ინვაზიური გაზომვა; სვან-განცის კათეტერიზაცია; თორაკოცენტეზი - ოფციური; პლევრის პუნქცია ბრონქოსკოპია; სპირომეტრია;

შემუშავება.	არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, ტრაქეის ინტუბაცია; კუნთებში, ვენაში, კანქვეშ ინექციები; ვენის კათეტერიზაცია; პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია; ელექტრული კარდიოვერსია; სისხლდენის შეჩერების დროებითი მეთოდები; მოტეხილობების დროებითი იმობილიზაცია.	კანის ტესტები.
-------------	--	----------------

მუხლი 3. სასწავლო პროგრამა

1. შინაგან მედიცინაში დიპლომის შემდგომი მზადება დაფუძნებულია კურიკულუმზე, რომელიც მოიცავს ზოგად და სპეციალობისათვის სპეციფიურ კომპონენტებს. სწავლების პროცესი იწყება ზოგადი ნაწილისაგან, რომელსაც შემდგომში მოყვება სპეციალიზირებული ნაწილი. ზოგად ნაწილი საერთოა შინაგანი მედიცინისა და მისი მომიჯნავე სპეციალობებისათვის. კურიკულუმის ზოგადი ნაწილი მიზნად ისახავს საბაზო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ამასთან ორიენტირებულია მწვავე, გადაუდებელ მდგომარეობებზე. ზოგადი ნაწილი საშუალებას აძლევს რეზიდენტს, დაეუფლოს კომპეტენციებს, რომელიც საერთოა შინაგანი მედიცინის სპეციალობებისათვის. მზადების მეორე წლის მიზანია შინაგანი მედიცინის მომიჯნავე სპეციალობების (ენდოკრინოლოგია, ალერგოლოგია, რევმატიული დაავადებები, ფტიზიატრია, კანის დაავადებები, სისხლის დაავადებები, ონკოლოგიური დაავადებები, ინფექციური დაავადებები) დიაგნოსტიკის, მართვისა და მათთან ასოცირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება.

2. კურიკულუმის მეორე ნაწილი ორიენტირებულია შინაგან მედიცინაში მზადებასა და სპეციფიური კომპეტენციების დაუფლებაზე.

3. სწავლების პერიოდში რეზიდენტი უნდა იყოს ჩაბმული პაციენტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის პროცესში. სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები. სასწავლო კურიკულუმი მოიცავს ცოდნას, უნარებს, პროფესიულ და ეთიკურ ასპექტებს.

4. მოდულების ჩამონათვალი:

პროფესიული მზადების I წელი		
მოდ. ¹	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ამბულატორიული თერაპია;	4 თვე
1.2	თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში;	3 თვე
1.3.	გადაუდებელი მედიცინა;	2 თვე
1.4.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.	2 თვე
პროფესიული მზადების II წელი - შინაგანი სწავლების მართვა სტაციონარში		
2.1.	სასუნთქი სისტემის დაავადებები;	2 თვე

2.2.	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები;	2 თვე
2.3.	გერიატრია;	1 თვე
2.4.	თირკმლის დაავადებები;	2 თვე
2.5.	სისხლისა და სისხლმზადი სისტემის დაავადებები;	2 თვე
2.6.	რევმატიული დაავადებები.	2 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
3.1.	ენდოკრინული დაავადებები;	1 თვე
3.2.	ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია;	1 თვე
3.3.	კანის დაავადებები;	1 თვე
3.4.	ფთიზიატრია;	1 თვე
3.5.	ინფექციური დაავადებები;	2 თვე
3.6.	ონკოლოგია;	2 თვე
3.7.	სამედიცინო რეაბილიტაცია;	1 თვე
3.8.	ნევროლოგია;	1 თვე
3.9.	paliatiuri medicina.	1 თვე

5. ინტერნისტის პროფესიული განვითარება გულისხმობს:

- ა) ღრმა და ზედმიწევნით ცოდნას;
- ბ) მტკიცებულებათა (სამეცნიერო) მედიცინის საფუძვლების ცოდნას;
- გ) ინტელექტუალურ განვითარებას;
- დ) ინფორმაციის მენეჯმენტს;
- ე) სწავლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე. პაციენტის, სხვა პროფესიონალის და მაძიებელის სწავლებას;
- ვ) ადაპტაციის უნარს - ახალ ცოდნას, დაავადებების ახალ მკურნალობას, ახალ ტექნოლოგიებს, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციებს;

6. თვითმომართული სწავლება:

- ა) ინტერნისტი თავისი საქმიანობის პერიოდში მუდმივად უნდა იყოს ჩართული უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების პროცესებში;
- ბ) ინტერნისტს უნდა შეეძლოს ბიბლიოთეკებში მუშაობა და ინფორმაციის მოპოვება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

7. ბიოეთიკა -ეთიკური პრინციპების ბაზისური ცოდნა და მათი გამოყენება პაციენტებთან ურთიერთობების დროს. ინტერნისტმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის კულტურული, სოციალური, რელიგიური ღირებულებები.

მუხლი 4. პედაგოგიური პერსონალი და საგანმანათლებლო რესურსები

1. პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:

- ა) რეზიდენტთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად;
- ბ) დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმდინარეობაზე კონტროლი;
- გ) რეზიდენტის ყოველწლიური ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინო დაწესებულების მითითებით;
- დ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება;

- ე) რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი;
- ვ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება;
- ზ) რეზიდენტის საქმიანობის არადადამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის წარდგენა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის ადმინისტრაციაში რეზიდენტის გარიცხვის შესახებ;
- თ) რეზიდენტის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით;
- ი) რეზიდენტის მიერ საზღვარგარეთ გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

2. მოდულზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობები:

- ა) სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა;
- ბ) პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან ერთად რეზიდენტების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა;
- გ) რეზიდენტთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა;
- დ) თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისთვის/დირექტორისთვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- ე) რეზიდენტის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

3. რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

- ა) რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დამლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
- ბ) რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის ხელმძღვანელობას;
- გ) რეზიდენტს უფლება აქვს განაგრძოს პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში;
- დ) რეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
- ე) რეზიდენტი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
- ვ) რეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების/სასწავლებლის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;

ზ) რეზიდენტი შეიძლება გარიცხულ იქნას ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში/სასწავლებელში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;

თ) რეზიდენტი ვალდებულია გაიაროს ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება ტარდება – აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად ეძლევა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა;

კ) პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას რეზიდენტს პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ განესაზღვრება მოდულის/მოდულების ნუსხა, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით;

ლ) პედაგოგიური პერსონალის მოვალეობაა, მიაწოდოს რეზიდენტებს კურიკულუმით გათვალისწინებული ცოდნა და მიეხმაროს მათ კომპეტენციების მიღწევაში. ხელმძღვანელმა ასევე უნდა მოახდინოს მოდულების შეფასება;

მ) სასწავლო ბაზა - მოდულების გავლის პერიოდში სარეზიდენტო პროგრამის ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტების დანერგვა შესაბამის სარეზიდენტო ბაზაზე. იგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა რეზიდენტისათვის.

6. სწავლების შეფასების ფორმა:

მოდული:
რეზიდენტი
როტაციის
პერიოდი
კლინიკური
ბაზა
სპეციალობა

	კარგი	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი
პროფესიული ცოდნა			
ანამნეზის შეკრება			
ფიზიკური გასინჯვა და ისტორიის წარმოება			
დიაგნოზი და დიფერენციული დიაგნოზი			
მკურნალობის სქემის ფორმულირება			
უნარ-ჩვევები და პროცედურები			

მაღალი დონის პროცედურები			
ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ინტერპრეტაცია			
შემთხვევათა პრეზენტაციის უნარი			
კომუნიკაბელობა და ურთიერთობები			
მოტივაცია და პროფესიონალიზმი			
საბოლოო შეფასება			

მუხლი 5. კურიკულუმის მართვა

1. კურსკულიმი მოიცავს ცოდნისა და უნარ-ჩვევების იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელია პროფესიული ცოდნის დაუფლებისათვის შინაგან მედიცინაში. კურიკულუმის მიზანია მაღალი კომპეტენციების მიღწევა. პრაქტიკული კლინიკური კომპეტენციების დაუფლებასთან ერთად რეზიდენტს ესაჭიროება სპეციალობაში თეორიული ცოდნის გაღრმავება, რაც უნდა განხორციელდეს არსებული რესურსების გამოყენებითა და სწავლების პროცესში კვალიფიციური პერსონალის ჩართვით.

2. კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების დაუფლებას სასწავლო წლის ბოლოს. იგი მოიცავს ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც სავალდებულოა შინაგანი მედიცინის ყველა მომიჯნავე სპეციალობის ექიმისათვის. აღნიშნული კომპეტენციების დაუფლების შემდეგ რეზიდენტს შეეძლება სტაციონარული და ამბულატორიული პროფილის მწვავე დაავადების მქონე პაციენტების მართვა.

3. პროგრამების რევიზია უნდა მოხდეს წარსული გამოცდილების, მიმდინარე მდგომარეობისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით. სწავლების პროგრამა და მეთოდები მუდმივად უნდა გადაიხედოს, რათა სარწმუნო იყოს მათი შესაბამისობა სპეციალობის სტანდარტებთან. კომპეტენციების მოდიფიცირება უნდა განხორციელდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაბამისად, ამასთანავე უნდა მოხდეს სასწავლო რესურსებისა და შეფასების კრიტერიუმების განახლება.

4. კურიკულუმის განახლება უნდა მოხდეს სპეციალობის სტანდარტების განახლების შესაბამისად, 5 წელიწადში ერთხელ.

თავი II. პირველი წლის მოდულები

მუხლი 6. პროფესიული მზადების პირველი წლის მიზანი

კურიკულუმი მოიცავს ზოგადი მზადების ნაწილს, რომელიც საერთოა შინაგანი მედიცინისა და მისი მომიჯნავე სპეციალობისათვის. კურიკულუმის ზოგადი ნაწილი მიზნად ისახავს საბაზო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ამასთან ორიენტირებულია მწვავე, გადაუდებელ მდგომარეობებზე Dდა მძიმე დაავადებების ინტენსიური თერაპიის

წარმოებაზე. ზოგადი ნაწილი საშუალებას აძლევს რეზიდენტს, დაეუფლოს კომპეტენციებს, რომელიც საერთოა შინაგანი მედიცინის სპეციალობებისათვის.

მუხლი 7. პირველი წლის მოდულები

პირველი წლის მოდულებია:

პროფესიული მზადების I წელი		
მოდ. ¹	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ამბულატორიული თერაპია	4 თვე
1.2	თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში	3 თვე
1.3.	გადაუდებელი მედიცინა	2 თვე
1.4.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	2 თვე

მუხლი 8.

1. მოდული 1.1. მოდულის დასახელება ამბულატორიული თერაპია, ხანგრძლივობა - - 4 თვე.

2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, მართვა და მონიტორინგი. ძირითადი კომპეტენციების დაუფლება.

3. მოდულის განხორციელების პირობები –შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი ამბულატორიული დაწესებულება სათანადო ასაკობრივი კონტიგენტის მომსახურების (შინაგანი მედიცინა, ოჯახის ექიმი) პროფილით.

4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები (განმარტებები დაწვრილებით იხ. სილაბუსში)
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
დაავადების სიმწვავის ხარისხის დადგენა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტისათვის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ობიექტური ინფორმაციის მიწოდების უნარი;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;

მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები (იხ. ქვემოთ).
უხშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი;
მწვავე ზურგის ტკივილი;
ჰაერის უკმარისობა;
ტკივილი გულის არეში;
ხველა;
Diარეა;
გონების კარგვა;
ჩხელემა;
ჰემატემეზი და მელენა;
თავის ტკივილი;
სიყვითლე;
კიდურის ტკივილი და შეშუპება;
გამონაყარი;
გულისრევა და ღებინება;
სისუსტე და დამბლა.
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური სიტუაციები:
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია;
პათოლოგიური მგრძნონელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა);
აგრესიული და პათოლოგიური ქცევა;
შფოთვა და პანიკური აშლილობა;
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა;
დისპეფსია;
დიზურია;
გამონადენი და წყლულები სასქესო ორგანოებზე;
ჰემატურია;
ჰემოპტიზი (სისხლიანი ხველა);
მოდრაობის შეზღუდვა;
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები;
სახსრების შეშუპება;
ლიმფადენოპათია;
წელის ტკივილი;
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები;
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები;
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები;
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე;
პოლიდიფსია;
პოლიურია;
ქავილი;
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან;

კანსა და პირის ღრუში არსებული წყლულები;
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები;
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი;
წონაში კლება.

5. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) გ. ქავთარაძე დიაგნოსტიკური მიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;
- ბ) ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;
- გ) Harrison – “Internal Diseases;”
- დ) Merck Manuel;
- ე) ვაშინტონის თერაპიული ცნობარი.

6. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4
შეფასების სისტემა	Mმოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

მმუხლი 9.

1. მოდული 1.2. მოდულის დასახელება - თერაპიული პაციენტების მართვა სტაციონარში, ხანგრძლივობა – 3 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება, დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, ინტენსიური თერაპია და მართვა.
3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები:
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
მდგომარეობის სიმწვავის ხარისხის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ცუდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები.
უხშირესი კლინიკური მდგომარეობები;
მუცლის ტკივილი;
მწვავე ზურგის ტკივილი;
თირკმლის მწვავე დაზიანება და თირკმლის ქრონიკული დაავადება;
კოლაფსი;
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი;
ტკივილი გულის არეში;
მწვავე კონფიზია/დელირიუმი;
ხველა;
დიარეა;
ცხელება;
ჰემატემეზი და მელენა;
სიყვითლე;
კიდურის ტკივილი და შეშუპება;
მოწამვლა;
გულისრევა და ლებინება;
პაციენტების მართვა, რომლებიც საჭიროებენ პალიატიურ მზრუნველობას და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი.
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები;
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია;
ასციტი და გაუვალობა;
პათოლოგიური მგრძნობელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა;
ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება;
ჰემატურია;

ჰემოპტიზი;
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი;
ჰიპოთერმია;
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები;
სახსრების შეშუპება;
ლიმფადენოპათია;
წელის ტკივილი;
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები;
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები;
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები;
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე;
პოლიდიფსია;
პოლიურია;
ქავილი;
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან;
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები;
წონაში კლება.

5. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;
- ბ) ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;
- გ) Harrison – “Internal Diseases”;
- დ) Merck Manuel ;
- ე) ვაშინტონის თერაპიული ცნობარი.

6. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა:

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა;	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა;	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია,	30
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
პარაცენტეზი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე

	ექიმ სპეციალისტთან ერთად
სისხლის ადგმა არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	50
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;	15
მორიგეობა.	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

7. მოდულის შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაციის შეფასება, რეფერატის შეფასება.

მუხლი 10.

1. მოდული 1.3. მოდულის დასახელება - გადაუდებელი მედიცინა. ხანგრძლივობა - 2 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება, კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების დიაგნოსტიკა და მართვა.
3. მოდულის განხორციელების პირობები - შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხო რეცეპტურა;
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;

პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ცუდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები.
გადაუდებელი მდგომარეობები:
გულის გაჩერება;
შოკური სტატუსის მქონე პაციენტის მართვა;
უგონო პაციენტის მართვა;
ანაფილაქსია.
უხშირესი სამედიცინო მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი;
მწვავე ზურგის ტკივილი;
კოლაფსი;
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი;
ტკივილი გულის არეში;
მწვავე კონფუზია/დელირიუმი;
ხველა;
დიარეა;
გონების დაკარგვა;
კიდურის ტკივილი და შეშუპება;
გულის ფრიალი;
მოწამვლა;
გამონაყარი;
გულისრევა და ლებინება;
სისუსტე და დამბლა;
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები;
ასციტი და გაუვალობა;
პათოლოგიური მგრძნობელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა);
ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება;
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა;

დიალიზი;
ჰემოპტიზი;
თავის ტრავმა;
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი;
ჰიპოთერმია;
მომრაობის შეზღუდვა;
უნებლიე მოძრაობები;
სახსრების შეშუპება;
წელის ტკივილი;
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები;
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები;
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები;
ტკივილი კისრის მიდამოში;
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე;
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან;
მეტყველების გაძნელება;
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები;
სინკოპე და პრესინკოპე;
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი;
მხედველობის დარღვევა (დიპლოპია, მხედველობის ველის დეფექტები, დაქვეითებული სიმახვილე).

5. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

შესასრულებელი პროცედურები და მანიპულაციები
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა;
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა;
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;
სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;
ტრანსფუზიული თერაპიის ჩვენებების განსაზღვრა და ტექნიკა;
ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა სისხლდენის დროს;
პირველადი სასწრაფო დახმარება თვალის ტრავმის, ჭრილობების, დამწვრობის დროს;
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია
პარაცენტეზი
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება;
სისხლდენის შეჩერების დროებითი მეთოდები;
მოტეხილობების დროებითი იმობილიზაცია;
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
მორიგეობა.

შეფასების სისტემა	მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

6. ლიტერატურის ნუსხა:

ა) Harrison – “Internal Diseases”;

ბ) Merck Manuel;

გ) Judith Tintinali., Emergency Medicine Textbook. 2009.

მმუხლი 11.

1. მოდული 1.4. მოდულის დასახელება - გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ხანგრძლივობა – 2 თვე.
2. მოდულის მიზანი: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა.
3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ცუდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;

ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები;
უხშირესი სამედიცინო მდგომარეობები;
კოლაფსი;
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი;
ტკივილი გულის არეში;
ხველა;
გონების კარგვა, სინკოპე;
კიდურის ტკივილი და შეშუპება;
გულის ფრიალი;
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები;
შფოთვითი /პანიკური აშლილობა;
სინკოპე და პრესინკოპე;
სუბსპეციალობებზე დაფუძნებული კომპეტენციები;
სტაბილური სტენოკარდია;
მწვავე კორონარული სინდრომი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი;
ქრონიკული ჰაერის უკმარისობა;
გულის უკმარისობა;
კარდიომიოპათიები;
გულის სარქვლოვანი დაავადების მქონე პაციენტის შეფასება;
პერიკადიტები;
პირველადი და მეორადი პრევენცია;
არტერიული ჰიპერტენზია;
ინფექციური ენდოკარდიტის პროფილაქტიკა და მართვა;
აორტის დაავადებები;
გულის სიმსივნეები;
გულის რეაბილიტაცია;
პაციენტების შეფასება არაკარდიოქირურგიული ოპერაციების დროს;
პაციენტების შეფასება კარდიოქირურგიული ოპერაციების დროს;
პულმონური ჰიპერტენზია.

5. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) ნ.ტატიშვილი, გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები;
- ბ) გ. ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;
- გ) მურაშკო – ელექტროკარდიოგრაფია;
- დ) Braunwald– “Heart Diseases”;
- ე) Merck Manuel.

6. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა;	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის	20

კატეგორიზაცია;	
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	50
დატვირთვის ტესტი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ჰოლტერ-მონიტორინგი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
Eქოკარდიოსკოპია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;	100
მორიგეობა.	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

თავი III. მზადების მეორე და მესამე წელი

მუხლი 12. მზადების მე-2 წლის მოდულები

მე-2 და მე-3 წლის მოდულებია:

2.1.	სასუნთქი სისტემის დაავადებები;	2 თვე
2.2.	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები;	2 თვე
2.3.	გერიატრია;	1 თვე
2.4.	თირკმლის დაავადებები;	2 თვე
2.5.	სისხლისა და სისხლმზადი სისტემის დაავადებები;	2 თვე
2.6.	რევმატიული დაავადებები.	2 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
3.1.	ენდოკრინული დაავადებები;	1 თვე

3.2.	ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია;	1 თვე
3.3.	კანის დაავადებები;	1 თვე
3.4.	ფთიზიატრია;	1 თვე
3.5.	ინფექციური დაავადებები;	2 თვე
3.6.	ონკოლოგია;	2 თვე
3.7.	სამედიცინო რეაბილიტაცია;	1 თვე
3.8.	ნევროლოგია;	1 თვე
3.9.	paliatiuri medicina	1 თვე

მუხლი 13.

1. მოდული 2.1. მოდულის დასახელება - სასუნთქი სისტემის დაავადებები – ხანგრძლივობა - 2 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სუბსპეციალობაზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა პულმონოლოგიური პროფილის დაავადებების ადეკვატური შეფასების, დიაგნოსტიკასა და მართვაში. როტაციის დამთავრების შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს პულმონოლოგიური დაავადების სრულყოფილი შეფასება კლინიკური, რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული მონაცემების ადეკვატური ინტერპრეტაციის საფუძველზე.
3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სტაციონარული დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხო რეცეპტურა;
მონიტორინგი და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ცუდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;

მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები;
უზშირესი სამედიცინო მდგომარეობები;
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი;
ტკივილი გულის არეში;
ხველა;
ცხელება;
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები;
ჰემოპტიზი;
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი;
ჰიპოთერმია;
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები;
სუბსპეციალობაზე დაფუძნებული კომპეტენციები;
რენტგენოლოგიურად პათოლოგიური ცვლილებების არსებობა;
სუნთქვის მწვავე უკმარისობა;
ასთმა;
ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები;
თორაკალური ონკოლოგია;
ინფექციები;
ბრონქოექტაზიები;
ფილტვების დიფუზური პარენქიმული დაავადებები;
ძილის დროს სუნთქვის დარღვევასთან დაკავშირებული დაავადებები;
ფილტვების სისხლძარღვოვანი დაავადებები;
ალერგიული დაავადებები და ანაფილაქსია;
ფილტვების დაავადებები იმუნოკომპრომიენტირებულ პაციენტებში;
პლევრისა და შუასაყრის დაავადებები;
სისტემური დაავადებების ფილტვისმიერი გამოვლინებები;
კისტური ფიბროზი;
ფილტვების პროფესიული დაავადებები და გარემო ფაქტორებით გამოწვეული დაავადებები;
ფილტვების გენეტიკური და განვითარების დარღვევასთან დაკავშირებული დაავადებები.

5. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა;	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა;	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	30
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ

	სპეციალისტთან ერთად
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
მექანიკური ვენტილაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ფილტვის ფუნქციური ტესტები და სპირომეტრია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
არაინვაზიური ვენტილაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
გულმკერდის რენტგენოლოგიური, ანგიოგრაფიული და კტ კვლევების ინტერპრეტაცია;	50
ბრონქოსკოპია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
კანის ტესტები;	15
მორიგეობა.	თვეში მინიმუმ 4
შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

6. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;
- ბ) გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;
- გ) Harrison – “Internal Diseases”;
- დ) Merck Manuel.

მუხლი 14.

1. მოდული 2.2. მოდულის დასახელება - კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებები ხანგრძლივობა - 2 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. აღნიშნული როტაციის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს გასტროენტეროლოგიური დაავადებების ჩივილების, სიმპტომების (დისფაგია, გულმმარვა, გულისრევა, ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, დიარეა, სისხლდენა კუჭნაწლავის ტრაქტიდან, სიყვითლე და ასციტი) ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს გასტროენტეროლოგიურ დაავადებათა ლაბორატორიული, ინსტრუმენტული და რენტგენოლოგიური გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. აღნიშნულთან ერთად, რეზიდენტის მზადების მიზანი გასტროენტეროლოგიური დაავადებების მართვის პრინციპების ცოდნაა, დაავადების გამწვავებისა და რემისიის ჩათვლით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როტაციის პერიოდში რეზიდენტს მიეწოდოს ინფორმაცია გასტროენტეროლოგიური დაავადებების მართვის თანამედროვე რეკომენდაციებისა და გაიდლაინების სახით.
3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სტაციონარული/ამბულატორიული დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ჩუდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;

საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები;
უხშირესი სამედიცინო მდგომარეობები;
მუცლის ტკივილი;
დიარეა;
ჰემატემეზი და მელენა;
ცხელება;
სიყვითლე;
გულისრევა და ლებინება;
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები;
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია;
ასციტი და გაუვალობა;
დისპეფია;
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან;
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები;
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები;
წონაში კლება;
სუბსპეციალობაზე დაფუძნებული კომპეტენციები;
ონკოლოგიის ზოგადი პრინციპები;
გასტროეზოფაგური რეფლუქსი;
დისფაგია და არაკარდიული ტკივილი გულის არეში;
დისპეფსია დაპეპტიკური წყლული;
გასტრო-ინტესტინური ტრაქტის ზემო ნაწილთა დაკავშირებული სხვა პრობლემები;
გალიზიანებული ნაწლავის სინდრმი;
შეკრულობა და დეფეკაციასთან დაკავშირებული პრობლემები;
ანთებითი ინფექციური მდგომარეობები;
მსხვილი ნაწლავის სიმსივნეები;
კვების შეფასება და ნუტრიციული სკრინინგი;
მალაბსორბცია და ანემია;
პაციენტის ხელოვნური კვება;
პორტული ჰიპერტენზია;
სპონტანური ბაქტერიული პერიტონიტი;
ჰეპატო-რენული სინდრმი;
ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია;
ღვიძლის დაავადებების სიმძიმის შეფასება;
ღვიძლის მწვავე დაავადებები;
ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანება;
ვირუსული ჰეპატიტი;

ღვიძლის აუტოიმუნური დაავადებები;
ღვიძლის მეტაბოლური დაავადებები;
მედიკამენტებით და ნარკოტიკებით ჰამოწვეული ღვიძლის დაავადებები;
ნაღვლის ბუშტის დაავადებები;
მწვავე პანკრეატიტი;
ქრონიკული პანკრეატიტი;
პანკრეასის სიმსივნეები.

5. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა;	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა;	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	30
კუჭის წვენის ლაბორატორიული კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია;	20
პარაცენტეზი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
დუოდენური ზონდის ჩაყენება;	10
განავლის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური კვლევების ინტერპრეტაცია;	15
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი და ენდოსკოპიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;	30
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბიოფსიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;	15
ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;	30
ღვიძლის და სანაღვლე გზების ულტრასონოგრაფიული, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;	
მორიგეობა.	თვეში მინიმუმ 4
შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

6. ლიტერატურის ნუსხა:

ა) ნ. ტატიშვილი გ. სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;

- ბ) გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;
- გ) Harrison – “Internal Diseases”;
- დ) Merck Manuel.

მუხლი 15.

1. მოდული 2.3 მოდულის დასახელება გერიატრია ხანგრძლივობა - 1 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. ხანდაზმულ პაციენტებში დაავადების მიმდინარეობის სპეციფიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობის თავისებურებები.
3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სტაციონარული/ამბულატორიული დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ცუდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
სუბსპეციალობაზე დაფუძნებული კომპეტენციები;
გერიატრიული პაციენტების გასინჯვა;
მწვავე დაავადებების დიაგნოსტიკა;
ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკა და უძღურებაში მყოფი პაციენტის მართვა;
სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება, მულიდისციპლინარულ გუნდში მუშაობა;
ჭაქცევა;
დელირიუმი;

შეუკავებლობა;
უმოდრაობა;
პალიატიური მზრუნველობა;
ორთოგერიატრია;
ფსიქიატრიული პრობლემები ხანდაზმულ პაციენტებში;
ინსულტის მართვა გერიატრიულ პაციენტებში.

5. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ხანდაზმული პაციენტის გამოკვლევა (ანამნეზი, ხანდაზმული პაციენტის ფიზიკური გამოკვლევა, ლაბორატორიული გამოკვლევა, ფუნქციური სტატუსის შეფასება);	30
ფსიქიური მდგომარეობის ზოგადი შესწავლა.	30
შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

6. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) გ.სიმონია, ი, ანდრონიკაშვილი – “კლინიკური გერიატრია”;
- ბ) Merck Manuel - “Introduction Approach to Geriatric Patient”;
- გ) Greenblatt DJ, Seleers EM – Drug Therapy, Drug Disposition in Old Age.

მუხლი 16.

1. მოდული 2.4. მოდულის დასახელება - თირკმლის დაავადებები ხანგრძლივობა – 2 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. როტაცია/მოდული მიზნად ისახავს რეზიდენტის მზადებას და პროფესიულ სრულყოფას შარდის გამომყოფი სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. აღნიშნული როტაციის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ნეფროლოგიური პროფილის დაავადებების ჩივილების, სიმპტომების ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს ნეფროლოგიურ დაავადებათა ლაბორატორიული, ინსტრუმენტული, რენტგენოლოგიური და ბიოფსიური გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. აღნიშნულთან ერთად, რეზიდენტის მზადების მიზანი ნეფროლოგიურ დაავადებების მართვის პრინციპების სრულყოფილი ცოდნაა, დაავადების გამწვავებისა და რემისიის ჩათვლით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როტაციის პერიოდში რეზიდენტს მიეწოდოს ინფორმაცია თირკმლის დაავადებების მართვის თანამედროვე რეკომენდაციებისა და გაიდლაინების სახით.
3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სტაციონარული/ამბულატორიული დაწესებულება.
4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება;
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი;
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება;
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება;
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები;
ინფექციის კონტროლი;
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა;
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს;
ცუსდი ამბების შეტყობინება;
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები;
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან;
საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები;
ინფორმირებული თანხმობა;
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები;
ეთიკური კვლევები;
მტკიცებულებები და გაიდლაინები;
უზშირესი სამედიცინო მდგომარეობები;
თირკმლის მწვავე დაზიანება და თირკმლის ქრონიკული დაავადება;
დიზურია;
ჰემატურია;
წელის ტკივილი;
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები;
პოლიურია;
დიალიზი;
სუბსპეციალობაზე დაფუძნებული კომპეტენციები;
პროტეინურია;
სითხეების. წყალ-მარილოვანი ცვლისა და ელექტროლიტების რეგულაციის დარღვევის შეფასება და მართვა;
გლომერულონეფრიტები;
ტუბულოინტერსტიციული ნეფრიტი;
თირკმლის მწვავე დაზიანება - მწვავე უკმარისობა;
თირკმლის ქრონიკული დაავადება;
ფოსფორისა და კალციუმის ცვლის დარღვევა;
რენული ანემია;
კარდიოვასკულური დაავადების თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებში;
ჰიპერტენზია;

რენოვასკულური ჰიპერტენზია;
დიაბეტური ნეფროპათია;
თირკმლის კენჭოვანი დაავადება;
საშარდე ტრაქტის ინფექციები;
საშარდე გზების ობსტრუქცია და ნეიროგენული შარდის ბუშტი;
თირკმლის მემკვირდრეობითი და იშვიათი დაავადებები.

5. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა;	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა;	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	30
შარდის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური კვლევების ინტერპრეტაცია;	20
საშარდე სისტემის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი და ენდოსკოპიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;	30
თირკმლის ბიოფსიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;	10
თირკმლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია; თირკმლის ულტრასონოგრაფიული, კომპუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;	30
მორიგეობა.	თვეში მინიმუმ 4
შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

6. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”;
- ბ) გ. ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე;
- გ) Harrison – “Internal Diseases”;
- დ) Merck Manue.

მუხლი 17.

1. მოდული 2.5. მოდულის დასახელება - სისხლისა და სისხლმზადი სისტემის დაავადებები ხანგრძლივობა – 2 თვე.
2. მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. რეზიდენტის პროფესიული მზადება სისხლის სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში.

3. მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სტაციონარული/ამბულატორიული დაწესებულება.

4. კომპეტენცია:

ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება;
კლინიკური კვლევა;
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა;
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
	აქტიურად იყოს ჩართული ლოკალურ ინფექციის კონტროლის და აღწერის პროცესის მონიტორინგში
	დანიშნოს ანტიბიოტიკების ლოკალური გაიდლაინის მიხედვით
	განსაზღვროს ჯვარედინი ინფექციის ალბათობა კლინიკურ პირობებში
	ივარჯიშოს ასეპტიკის დაცვის ტექნიკაში
გ)ქცევა	ჩართოს კოლექტივი, პაციენტები და ახლობლები ინფექციის კონტროლის შესრულების პროცესში
დ)დონის აღწერა	იცავს ინფექციის კონტროლის ლოკალური პროტოკოლებს, მათ (მაგ. ხელის დაბანა ყველა პაციენტის გასინჯვის წინ და მერე). აქვს უნარი,

	სტუდენტებს, პაციენტებს და მათ ახლობლებს აუხსნას ინფექციის კონტროლის პროტოკოლი. პატივი სცეს ექთნების შრომას. ინფორმირებულია ინფექციებთან მიმართებაში, მათ შორის MRSA და C. difficile, ინფორმირებულია ნოზოკომიური ინფექციების რისკების შესახებ. ესმის კავშირი ანტიბიოტიკების გამოწერასა და ნოზოკომიურ ინფექციას შორის. განიხილავს ანტიბიოტიკის გამოყენების საკითხს უფროს კოლეგასთან.
	აქვს უნარი ჩაატაროს მარტივი კლინიკური პროცედურები, ასეპტიკურად. მართავს მარტივ ინფექციებს I რიგის პრეპარატების გამოყენებით. ეფექტურად უხსნის პაციენტს მკურნალობის აუცილებლობას და რეინფექციის ან ინფექციის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს. თანამშრომლობს დიაგნოსტიკურ დეპარტამენტთან სათანადო კვლევებთან/ტესტებთან მიმართებაში.
	აქვს უნარი ჩაატაროს კომპლექსური კლინიკური პროცედურები ასეპტიკური ტექნიკის დაცვით. მოახდინოს მაღალი რისკის პაციენტებში ინფექციის განვითარების ალბათობის შეფასება შესაბამისი გამოკვლევებით და განიხილოს მეორე რიგის პრეპარატების გამოყენება. ეფექტურად ურთიერთობს პაციენტთან და მათ ახლობლებთან ინფექციის, მკურნალობის აუცილებლობის და თერაპიასთან ასოცირებული რისკების შესახებ. მუშაობს ეფექტურად დიაგნოსტიკურ დეპარტამენტთან კვლევის შერჩევისა და თერაპიის მონიტორინგის საკითხებთან მიმართებაში. მუშაობს გარეშე სააგენტოებთან მნიშვნელოვანი დაავადებების აღწერის და სათანადო კვლევაში/მკურნალობაში კოლაბორაციისთვის.
	აქვს უნარი ჩაატაროს ყველაზე კომპლექსური კლინიკური პროცედურები ასეპტიკური ტექნიკის დაცვით, მათ შორის ისეთის, რომელიც საჭიროებს რამდენიმე თანამშრომელს. მუშაობს დიაგნოსტიკურ დეპარტამენტთან ყველაზე კომპლექსური შემთხვევების კვლევისა და მართვისთვის, მათ შორის ისეთი ინფექციური დაავადებისას, რომლებიც საჭიროებენ მუშაობას გარეშე სააგენტოებთან ინფექციის კონტროლისთვის უფრო ფართო პოპულაციაში.
11.	გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
ა)ცოდნა	გაიხსენოს დაავადებების ბუნება, რომლების ქრონიკულად მიმდინარეობს.
	განსაზღვროს რეაბილიტაციური სამსახურების და მულტიდისციპლინური ჯგუფის როლი, ხანგრძლივი მკურნალობისას
	იცოდეს ცხოვრების ხარისხის კონცეფცია და როგორ შეიძლება ის გაიზომოს
	იცოდეს პაციენტის თვითზრუნვის არსი
	იცოდეს, ესმოდეს და შეეძლოს შეადაროს ინვალიდობის სამედიცინო და სოციალური მოდელები
	ესმოდეს კავშირი ლოკალური ჯანდაცვის, განათლების და სოციალურ

	სერვისებს, მოხალისეებს შორის
ბ)უნარ-ჩვევები	უთანხმებს მენეჯმენტის გეგმას პაციენტს და ახლობლებს, რომ უზრუნველყოს მაქსიმალური თვითზრუნა მკურნალობისას
	ავითარებს მხარდამჭერ ურთიერთობას პაციენტებთან, რომელთა მკურნალობა იქნება გახანგრძლივებული
	უზრუნველყოფს პაციენტის ეფექტურ განათლებას
	ხელს უწყობს პაციენტის სათანადო ჩართულობას სხვადასხვა ქსელებში, როგორც მხარდაჭერის მიღებისთვის, ასევე მისაცემად.
	ეხმარება პაციენტს შესაბამისი ინფორმაციის მიღებაში
	აწვდის პაციენტს სათანადო და ფაქტებზე დაყრდნობილ ინფორმაციას შესაბამის გარემოში და ძლევს მას არჩევანის გაკეთების საშუალებას
გ)ქცევა	ჰქონდეს მზაობა მოიქცეს ისე, როგორც პაციენტს სურს
	გაიაზროს ხანგრძლივი ავადმყოფობის გავლენა პაციენტზე, ოჯახზე და მეგობრებზე
	უზრუნველყოს პაციენტის ზრუნვისათვის საჭირო აპარატურა და აღჭურვილობა
	მისცეს პაციენტს საშუალება იკონტაქტოს სათანადო სააგენტოებთან, მათ შორის მოხალისეთა სექტორთან
	უზრუნველყოს სათანადო საშუალებები და ხელსაწყოები, როცა შესაძლებელია.
	ჰქონდეს მზაობა ხელი შეუწყოს სათანადო ტრენინგებს და ქცევებს, რომ პაციენტს ჰქონდეს მეტი თვითდაჯერებულობა და თვითზრუნვის საშუალება
	ჰქონდეს სურვილი ხელი შეუწყოს პაციენტის მჭიდრო თანამშრომლობას მულტიდისციპლინარული ჯგუფის ყველა წევრთან, პირველადი და საზოგადოებრივი ზრუნვის ჯგუფთან
	გაიაზროს ოჯახის, მეგობრების და მზრუნველების როლი ხანგრძლივი მკურნალობის პროცესში
დ)დონის აღწერა	აღწერს სათანადო ხანგრძლივ მდგომარეობებს. იცის ცხოვრების ხარისხის მნიშვნელობა. იცის პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობის საჭიროება. ეხმარება პაციენტს თავისი მდგომარეობის გაგებაში და თუ როგორ შეუძლიათ თვითზრუნვა
	ავლენს უნარს მართოს ხანგრძლივი პათოლოგიები. იცნობს იმ პროცედურებს და აპარატურას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი მართვისთვის. იცნობს გარე სტრუქტურებს, რომლებიც აუმჯობესებენ პაციენტზე ზრუნვას. ასწავლის პაციენტს. ჯგუფის შიგნით, უზრუნველყოფს პაციენტზე სრულყოფილ ზრუნვას.
	განავითარებს მართვის გეგმას პაციენტთან ერთად. იყენებს სათანადო ჩვევებს და აპარატურას, რათა გაუმჯობესდეს პაციენტზე ზრუნვა. ჩართავს შესაბამის ორგანოებს პროცესის უზრუნველყოფისათვის
	უზრუნველყოფს კომუნიკაციას პაციენტთან და მზრუნველებთან, ასევე ჯგუფის შიგნით
12.	პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს ეფექტურად და თანაგრძნობით ურთიერთობა პაციენტთან, ნათესავებთან და

	ახლობლებთან
ა)ცოდნა	ინტერვიუს სათანადოდ დაგეგმვა
	პაციენტის წარსულის, კულტურის, განათლების და პროცესებისადმი წინაწარგანწყობის) ცოდნა
ბ)უნარ-ჩვევები	პაციენტთან და ახლობლებთან ურთიერთგაგების დამყარება
	მოუსმინოს აქტიურად და თანაგრძნობით გამოჰკითხოს პაციენტს და დააზუსტოს ინფორმაცია
	დაადგინოს და მართოს კომუნიკაციის ბარიერები, მოარგოს საუბარი ინდივიდუალურ პაციენტს და გამოიყენოს თარჯიმანი, როდესაც საჭიროა
	მიიღოს ინფორმაცია თანაგრძნობით, არეგულიროს პაციენტის და საკუთარი ემოციები (აღელვება, ანტიპათია და ა.შ.)
	გამოიყენოს წერილობითი და სხვა ინფორმაციის წყაროები და გადასცეს პაციენტს
	გადაამოწმოს თუ როგორ გაიგო პაციენტმა/ახლობლებმა მიწოდებული ინფორმაცია, დარწმუნდეს, რომ ყველა საკითხი გავლილია
	მიუთითოს როდის მიდის საუბარი დასასრულისკენ და გააკეთოს შეჯამება
	მოახდინოს საუბრის იმავდროული ჩაწერა
	მართოს პაციენტი შემდგომში.
გ)უნარ_ჩვევები	პაციენტთან და ახლობლებთან ურთიერთგაგების დამყარება
	მოუსმინოს აქტიურად და თანაგრძნობით გამოჰკითხოს პაციენტს და დააზუსტოს ინფორმაცია
	დაადგინოს და მართოს კომუნიკაციის ბარიერები, მოარგოს საუბარი ინდივიდუალურ პაციენტს და გამოიყენოს თარჯიმანი, როდესაც საჭიროა
	მიიღოს ინფორმაცია თანაგრძნობით, არეგულიროს პაციენტის და საკუთარი ემოციები (აღელვება, ანტიპათია და ა.შ.)
	გამოიყენოს წერილობითი და სხვა ინფორმაციის წყაროები და გადასცეს პაციენტს
	გადაამოწმოს თუ როგორ გაიგო პაციენტმა/ახლობლებმა მიწოდებული ინფორმაცია, დარწმუნდეს, რომ ყველა საკითხი გავლილია
	მიუთითოს როდის მიდის საუბარი დასასრულისკენ და გააკეთოს შეჯამება
	მოახდინოს საუბრის იმავდროული ჩაწერა
	მოახდინოს პაციენტის შემდგომი მეთვალყურეობა
დ)ქცევა	მიუდგეს სიტუაციას თანაგრძნობით თავაზიანად და პროფესიონალურად, განსაკუთრებით შესაბამისი სხეულის ენის გამოყენებით
	უზრუნველყოს მიდგომა, რომ პაციენტი ჩართული იყოს პროცესში და პატივი სცეს პაციენტის, მზრუნველების, კოლეგების აზრს
	შეეძლოს პაციენტს მიაწოდოს სხვა შეხედულება
	გამოიყენოს ეთიკური აზროვნების სხვადასხვა მეთოდები, რომ მივიდეს

	ბალანსირებულ გადაწყვეტილებამდე, სადაც ყველა კომპლექსური და კონფლიქტური საკითხი იქნება გათვალისწინებული
	იყოს კეთილგანწყობილი სხვისი ფასეულობების მიმართ და შეინახოს საიდუმლოდ
ედონის აღწერა	შეუძლია ჩაატაროს მარტივი ინტერვიუები სიმპათიით და თანაგრძნობით და ჩაიწეროს ინფორმაცია ზუსტად
	შეუძლია ჩაატაროს ინტერვიუები უფრო კომპლექსურ სიტუაციებში დამაკმაყოფილებლად და დადასტუროს, რომ ორმხრივი კომუნიკაცია შედეგა.
	შეუძლია მართოს კომუნიკაციისას წარმოქმნილი სირთულეები სათანადოდ, თუ საჭიროა ჩართოს სხვებიც, შეადგინოს კარგი რაპორტი
	მოიქცეს მაღალ დონეზე ნებისმიერი სიტუაციის დროს, წისასწარ განსაზღვროს და დართოს ნებისმიერი სირთულე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას.
14.	ცუდი ამბების შეტყობინება გაანალიზოს ცუდი ამბების შეტყობინების ფუნდამენტური მნიშვნელობა. განავითაროს ცუდი ამბის თქმის ტექნიკა ინდივიდუალური პაციენტის და მათი ახლობლების მოთხოვნების შესაბამისად.
ა)ცოდნა	იცოდეს, რომ გზა, რომლითაც ცუდი ამბების შეტყობინება ხდება, მოქმედებს შემდეგ ურთიერთობაზე.
	გაანალიზოს, რომ პაციენტები შეიძლება სხვადასხვა დონის ახსნას ითხოვდეს და შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის პასუხი ცუდ ამბავზე
	გაანალიზოს, რომ ცუდი ამბები არის კონფინდენციალური, მაგრამ პაციენტს შეუძლია სურდეს ვინმეს თანხლება ინფორმაციის მიღებისას.
	გაანალიზოს, რომ ცუდი ამბის შეტყობინება შეიძლება იყოს განსაკუთრებით სტრესული ექიმისა და სხვა პროფესიონალებისათვის, ვინც ამ პროცესშია ჩართული.
	ესმოდეს, რომ ინტერვიუ შეიძლება იყოს განათლებითი ხასიათის
	იცოდეს ცუდის ამბის შეტყობინებისას მომზადების მნიშვნელობა: საკმარისი დროით დარჩეს ამბის შეტყობინებისას, აირჩიოს შესაბამისი მყუდრო გარემო. ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია პროგნოზის და მკურნალობის შესახებ. საუბრის დროს იყოს გულწრფელი, ისაუბროს ფაქტებით და რეალისტურად
	ესმოდეს, რომ “ცუდი ამბები” შეიძლება იყოს მოსალოდნელიც და მოულოდნელიც
	იცოდეს, რომ ცუდი ამბების შეტყობინება არის პროფესიონალური პრაქტიკის აუცილებელი ატრიბუტი
	ესმოდეს, რომ “ცუდი ამბები” შეიძლება იყოს სხვადასხვა ნიუანსების მატარებელი შინაარსის, ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული გარემოებების გათვალისწინებით
	გაიხსენოს, როგორ ხდება გვამის პათანატომიური კვლევა და ესმოდეს რას მოიცავს ეს.
	გაიხსენოს ორგანოების მოპოვების პროცედურები.

ბ)უნარ-ჩვევები	ახდენს ცუდი ამბების შეტყობინების პრაქტიკის დემონსტრირებას
	რთავს პაციენტს და ახლობლებს მომავლის განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში
	წახალისოს პაციენტი კითხვის დასმისას და დარწმუნდეს, რომ აღიქვას ნათქვამი
	პაციენტს და ახლობლებს უპასუხოს ვიზუალური და ვერბალური საშუალებებით
	იმოქმედოს სიმპათიით, გულწრფელად და თანაგრძნობით, თავიდან აიცილოს უსაფუძვლო ოპტიმიზმი ან პესიმიზმი
	დაგეგმოს ინტერვიუ, მაგ: დიაგნოზის, გართულებების, მკურნალობის, პროგნოზის, შემდგომი მკურნალობის განხილვა
გ)ქცევა	იღებს ინიციატივას ცუდი ამბების შეტყობინებისას
	პატივს ცემს ნებისმიერი სახის რეაქციას ცუდ ამბებზე
დ)დონის აღწერა	აანალიზებს, როდის უნდა მოხდეს ცუდი ამბების ეტაპობრივად შეტყობინება, აანალიზებს, რომ საჭიროა სპეციფიური უნარების განვითარება, რათა თავი გაართვას ნებისმიერ სიტუაციას
	აქვს უნარი აცნობოს ცუდი ამბები მომზადებულ სიტუაციაში. კარგად ემზადება საუბრისთვის. ამზადებს პაციენტს ცუდი ამბის გასაგებად. პასუხისმგებელია პაციენტის რეაქციაზე.
	აქვს უნარი შეატყობინოს ცუდი ამბები მოულოდნელ სიტუაციაში. გეგმავს ინტერვიუს. ადგენს რა სურს პაციენტს და რწმუნდება, რომ ესმით რასაც ამბობს. შეუძლია ინტერვიუს შეჯამება.
	მოხერხებულად ატყობინებს ცუდ ამბებს ნებისმიერ სიტუაციაში. ალაგებს თანმიმდევრობას სათანადოდ. შეუძლია ასწავლოს სხვებს როგორ შეატყობინონ ცუდი ამბები
15.	საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
ა)ცოდნა	ძირითადი კონსულტაციისთვის აუცილებელი თვისებები და ტექნიკა. იცოდეს ლოკალური საჩივრის აღძვრის პროცედურა. გაანალიზოს ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება მიგვიყვანოს უკმაყოფილებამდე (არაგულწრფელობა, ცუდი კომუნიკაცია და ა.შ.) შეიძინოს თვისებები, რომლებიც მოახდენენ საჩივრების პრევენციას. ესაუბროს უკმაყოფილო პაციენტს ან ნათესავებს. აღიაროს შეცდომა. იმოქმედოს გულწრფელად, თანაგრძნობით, კონფრონტაციის გარეშე.
	საზღვრავს დახმარების და მხარდაჭერის წყაროებს, როდესაც საჩივარი ეხება მას ან კოლეგას
ბ)უნარ-ჩვევები	ხელს უწყობს პროცესებს რომლის საშუალებითაც საჩივრები დაგაიხედება
	პაციენტს გასაგებად უხსნის მოვლენათა თანმიმდევრობას, რამაც გამოიწვია შეცდომა
	ღებულობს ადექვატურ ბოდიშს
	განასხვავებს სისტემურ და ინდივიდუალურ შეცდომებს
	აქვს უნარი ისწავლოს წინა შეცდომებზე
გ)ქცევა	იღებს ლიდერის ფუნქციას საჩივრებთან მიმართებაში
	გაიაზრებს საჩივრების და სამედიცინო შეცდომების გავლენას

	კოლექტივზე, პაციენტზე
	ხელს უწყობს გამჭვირვალობას, გულდიაობას საჩივრებთან და შეცდომებთან მიმართებაში
	გაიაზროს პაციენტის, ოჯახის წევრების და ახლობლების უფლებები დაწერონ საჩივარი
დ)დონის აღწერა	გასაზღვრავს საჩივრის ლოკალურად დაწერის პროცედურას. გააზრებული აქვს გულწრფელობის საჭიროება საჩივრების მართვისას. სწრაფად რეაგირებს წამოჭრილ საკითხებზე და ესმის ეფექტური მოზოდიშების მნიშვნელობა. სწავლობს შეცდომებზე.
	მართავს კონფლიქტებს კონფრონტაციის გარეშე. გააზრებს განსხვავებას სისტემურ და ინდივიდუალურ შეცდომას შორის და რეაგირებს მათზე.
	გაიაზრებს და მართავს ნებისმიერ საჩივარს ჯგუფის წევრებისგან
	საჭიროებისას აწვდის დროულ და ზუსტ წერილობით პასუხს საჩივარზე. იღებს ლიდერის ფუნქციას საჩივრების მართვაში
16.	კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან <i>გაიაზროს და მიიღოს ექიმის პასუხისმგებლობა და როლი სხვა ჯანდაცვის მუშაკებთან ურთიერთობისას. ჰქონდეს თანამშრომლებთან ეფექტური და ლაკონური კომუნიკაცია</i>
ა)ცოდნა	ესმოდეს, რომ "კარგი სამედიცინო პრაქტიკა" გულისხმობს უმთავრესად კოლეგებთან ერთად მუშაობას
	იცოდეს მულტი-დისციპლინური ჯგუფში ყველა წევრის როლი
	იცოდეს კარგი გუნდის დინამიკის თვისებები
	ეფექტური ინტერპროფესიონალური კოლაბორაციის პრინციპები პაციენტზე, პოპულაციაზე ზრუნვისას
ბ)უნარ-ჩვევები	ჰქონდეს ეფექტური, ნათელი, სწრაფი და მისახვედრი კომუნიკაცია სათანადო კოლეგებთან, მაგ. ურგენტულობის შესაბამისად ტელეფონი, სმს და ა.შ. განსაკუთრებით, როდესაც პასუხისმგებლობა პაციენტზე უნდა გადაეცეს სხვას.
	იყენებდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის შესაძლებლობებს სათანადოდ, მაგრამ დარწმუნდეს, რომ პასუხისმგებლობის დელეგირებისას სათანადო ზედამხედველობა შენარჩუნებულია
	საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობდეს და კოორდინირებდეს ღამის მორიგე ჯგუფებთან
	ეფექტურად ურთიერთობდეს ადმინისტრაციულ სამსახურთან და მხარდამჭერ სტრუქტურებთან
	გამოიყენოს ქცევის მართვის უნარები კოლეგებთან კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის
გ)ქცევა	იცოდეს მულტიდისციპლინარული მუშაობის მნიშვნელობა და მონაწილეობდეს მასში, მათ შორის აიღოს ლიდერის ფუნქციები, როცა საჭიროა
	ხელი შეუწყოს მხარდამჭერ და პატივისცემით გამსჭვალულ გარემოს, სადაც ღია და გამჭვირვალე ურთიერთობებია თანამშრომლებს შორის
	უსრუნველყოს კონფიდენციალობა ჯგუფის ნებისმიერ წევრთან

	ურთიერთობისას
	გაიაზროს ჯანსაღი მუშაობა/პირადი ცხოვრების თანაფარდობის მნიშვნელობა მთელი გუნდისთვის, მათ შორის საკუთარი თავისთვის
	იყოს მზად გამოუვალ სიტუაციებში და თანამშრომლის გაუთვალისწინებლად არყოფნის დროს აილოს დამატებითი მოვალეობები
დ)დონის აღწერა	ითავისებს საკუთარ როლს ჯანდაცვის გუნდში და სათანადოდ ურთიერთობს გუნდის ყველა წევრთან
	სრულად ითავისებს საკუთარ როლს და სათანადოდ ურთიერთობს გუნდის ყველა წევრთან (ინდივიდუალურად და ჯგუფობრივად)
	შეუძლია წინასწარ განსაზღვროს და მართოს ჯგუფის წევრებს შორის კონფლიქტები
	შეუძლია საკუთარ თავზე აილოს ლიდერის ფუნქციები აქვს კარგად განვითარებული უნარები, პასუხისმგებლობის გრძნობა და შეხედულებები გუნდის ყველა წევრზე
	<i>საავადმყოფოს ყველა ექიმი ვალდებულია იცნობდეს ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს. კომპეტენციები, რომლებიც ეხება ამ ცოდნას, განხილულია შემდეგ თავში</i>
17.	საზოგადოებრივი ჯანდაცვა <i>პროგრესულად განვითარდეს უნარი იმუშაოს ინდივიდუალურად და ჯგუფურად, რომ შემცირდეს ავადობა, მოიხსნას არათანაბარი სამედიცინო მომსახურება და გაუმჯობესდეს პოპულაციის ზოგადი ჯანმრთელობა.</i>
ა)ცოდნა	ესმოდეს ფაქტორები, რომლების ზოგადად მოქმედებენ ინციდენტზე და პრევალენსზე
	ესმოდეს ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ჯანმრთელობაზე - ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეკონომიური, განსაკუთრებით სიღარიბე
	ესმოდეს ცხოვრების წესის გავლენა ჯანმრთელობაზე და ფაქტორები, რომლებიც აიძულებენ პიროვნებას შეიცვალოს ცხოვრების წესი
	ესმოდეს სკრინინგ პროგრამების მიზნები და იცოდეს ქვეყანაში რა პროგრამები მოქმედებს
	ესმოდეს კავშირი პიროვნების და პოპულაციის ჯანმრთელობას შორის
	იცნობდეს ძირითად ლოკალურ საკითხებს ჯანდაცვასთან მიმართებაში, მაგ: მწვევლების რაოდენობა, სიმსუქნე
	ესმოდეს სხვა სტრუქტურების როლი მათ შორის გლობალიზაცია პრევენციასა და მომსახურების მიწოდებაში
	ერკვევა ჯანმრთელობის მაჩვენებლებში და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში
	იცოდეს გლობალური ავადობის და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები და შესამცირებლად ეფექტური ქმედებები
ბ)უნარ-ჩვევები	განსაზღვროს შესაძლებლობები თუ როგორ შეამციროს დაავადებები პაციენტებში
	განსაზღვროს შესაძლებლობა მოახდინოს ცხოვრების წესის

	ცვლილება, რაც პოზიტიურად იმოქმედებს ჯანმრთელობაზე
	იცოდეს კავშირი მენტალურ, ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობას შორის ჯანმრთელოსლათან მიმართებაში
	გაუწიოს კონსულტაცია პაციენტებს სარგებლობისა და რისკების შესახებ
	მუშაობდეს სხვა სტრუქტურებთან კოლაბორაციაში რომ გაუმჯობესდეს პოპულაციის ჯანმრთელობა.
გ)ქცევა	ჩაერთოს ეფექტურ და ჯგუფურ მუშაობაში ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესებისთვის
	როცა საჭიროა ჩაერთოს სკრინინგ პროგრამაში ადრეული ინტერვენციის ხელშესაწყობად
დ)დონის აღწერა	ინდივიდუალურ დონეზე ამყარებს კომუნიკაციას, აწვდის ინფორმაციას ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ მათ ჯანმრთელობაზე. ეხმარება პიროვნებას მარტივ აქტივობაში (მაგ. თამბაქოს მოწევის შეწყვეტა)
	კომუნიკაცია პირებთან და მათ ნათესავებთან, აწვდის ინფორმაციას ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ მათ პერსონალურ ჯანმრთელობაზე. ეხმარებიან მცირე ჯგუფებს მარტივ აქტივობაში (მაგ. თამბაქოს მოწევის შეწყვეტა) აწვდის ინფორმაციას პაციენტს სკრინინგ პროგრამების, მათი რისკების და სარგებელის შესახებ
	პაციენტთა მცირე ჯგუფებთან განიხილავს ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ მათ ჯანმრთელობაზე, უხსნის ინიციატივებს, რომლებიც მათ ეხმარებიან. აწვდის ინფორმაცია სკრინინგ პროგრამის შესახებ და რისკებზე და სარგებელზე რომელიც მას ახლავს. ჩართულია ლოკალურ და რეგიონალურ ინიციატივებში, რომ გაუმჯობესდეს ინდივიდუალური ჯანმრთელობის ხარისხი და შემცირდეს პოპულაციებს შორის არათანაბრობა.
	<i>ჯანდაცვასთან ასოცირებული ლეგალური და ეთიკური ასპექტები უნდა იყოს რეზიდენტის კომპეტენციის სავალდებულო ნაწილი. ამ ეთიკურ ასპექტებში კვლევაც მოიაზრება. აღნიშნულ სფეროებთან ასოცირებული კომპეტენციები აღწერილია შემდეგ თავებში</i>
18.	საზოგადოებრივი ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები იცნობდეს, ესმოდეს და ხელმძღვანელობდეს სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის შესახებ პრინციპებით, რეკომენდაციებით და კანონებით.
ა)ცოდნა	უნდა ჰქონდეს ცოდნა სამედიცინო ეთიკის პრინციპებში
	იცნობდეს და ხელმძღვანელობდეს გაიდლაინით, რომელიც კონფიდენციალობას ეხება
	იცნობდეს სიტუაციებს, სადაც პაციენტის თანხმობა თუმცა სასურველია, აუცილებელი არ არის, მაგ: გადამდები დაავადებები, საზოგადოებრივი ინტერესები
	იცოდეს პაციენტის თანხმობის მოსაპოვებლად საჭირო პროცედურები
	გაიხსენოს კონფიდენციალობის ვალდებულება პაციენტის სიკვდილის შემდეგ

	გაანალიზოს პრობლემები, რომლებიც პაციენტის თანხმობის გარეშე ექმნება საზოგადოებას
	გაანალიზოს ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ეთიკურ გადაწყვეტილებაზე (მაგ. რელიგიური, მორალური, კულტურული)
	როდის არ ჩაატაროს CPR, როდის შეწყვიტოს ან თავი შეიკავოს სიცოცხლის გამახანგრძლივებელ პროცედურებზე
ბ) ქცევა	იყენებდეს და ავრცელებდეს ინფორმაციას კონფიდენციალობის მაქსიმალურად დაცვით და ჯგუფის სხვა წევრებსაც მოსთხოვოს მსგავსი ქცევა
	გამოიყენეთ კონფიდენციალობის უზრუნველყოფისათვის სტრატეგიები, მაგ.: ანონიმიზაცია
	კონსულტაცია გაუწიონ პაციენტებს თუ როგორ მიაწოდოს ინფორმაცია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჯგუფს
	კონსულტაცია გაუწიონ პაციენტს, ოჯახს და ურჩიოს ტაქტიანად და ეფექტურად, როდესაც ლეზლობენ გადაწყვეტილებას რეანიმაციის სტატუსის, მკურნალობისგან თავის შეკავების ან შეწყვეტის შესახებ
გ) დონის აღწერა	გამოიყენებს და გადასცემს ინფორმაციას მაღალი კონფიდენციალობით. მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში რეანიმაციის სტატუსის, მკურნალობისგან თავის შეკავების ან შეწყვეტის შესახებ
	პაციენტებს უწევს კონსულტაციას ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჯგუფთან
	ჰქონდეს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება რეანიმაციის სტატუსის და მკურნალობის შეწყვეტის ან თავის შეკავების შესახებ
19.	ინფორმირებული თანხმობა <i>პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება</i>
ა) ცოდნა	იცოდეს გაიდლაინი თანხმობის მიღებასთან დაკავშირებით. ესმოდეს, რომ თანხმობა არის პროცესი, მაგრამ ლიმიტირებული არ არის თანხმობის ფორმის შევსებით. ესმოდეს რომ ძირითადი მნიშვნელობა აქვს თუ რა დონეზე ესმის იგი პაციენტს. აფასებდეს პაციენტის მენტალურ სტატუსს (ასევე როცა საჭიროა მშობლების, ახლობლების, ნათესავების) და იმას, თუ რამდენად შეიძლება დაქვეითდეს მათ მიერ ინფორმირებული თანხმობის მიცემის უნარი
ბ) უნარ-ჩვევები	მისცეს სრული ინფორმაცია პაციენტს (და ახლობლებს) იმ ფორმატში, რომელშიც ისინი გაიგებენ და მისცეს დრო გადაწყვეტილების მისაღებად
	მისცეს ბალანსირებული ინფორმაცია მკურნალობის ყველა საკითხთან მიმართებაში
გ) ქცევა	პატივს სცემს პაციენტის ავტონომიას იმ სიტუაციაშიც კი, თუ მათი გადაწყვეტილება ზიანს შეიძლება აყენებდეს მას
	აჩვენოს მზაობა შეასრულოს მითითებები
	ჰქონდეს მზაობა მხედველობაში მიიღოს სხვა პირის ან უფროსი კოლეგის მოსაზრება და ლეგალური რჩევა, თანხმობასთან დაკავშირებულ რთულ სიტუაციაში
	მისცეს პაციენტს ინფორმაცია და ემბედეს ალტერნატიულ გზებს მკურნალობისას, როცა პერსონალური, მორალური ან რელიგიური

	რწმენა ხელს უშლის ჩვეულ პროფესიონალურ ქმედებას
დ) დონის აღწერა	ღებულობს თანხმობას მკურნალობაზე პაციენტის აუტონომიის დაცვით
	აქვს უნარი აუხსნას კომპლექსური მკურნალობის მნიშვნელობა არასამედიცინო ენაზე და მიიღოს შესაბამისი თანხმობა.
	ღებულობს თანხმობას პაციენტისგან სიტუაციაში, როდესაც პაციენტისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება აშკარა არ არის
	ღებულობს თანხმობას ნებისმიერ სიტუაციაში, მაშინაც კი თუ არის კომუნიკაციის პრობლემა
20.	მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
	<i>გაიგოს მუშაობის ლეგალური ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ხდება სამედიცინო მომსახურება</i>
ა) ცოდნა	ყველა გადაწყვეტილება და ქმედება უნდა იყოს პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე
	ესმოდეს ლეგიტიმური ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ხდება სამედიცინო მომსახურები მიწოდება – ძირითადად სიკვდილის დადასტურება და გამომძიებლის/პროკურატორის როლი ამ საკითხში, ბავშთა დაცვის და მენტალური ჯანდაცვის კანონმდებლობა (მათ შორის პაციენტის დაყოვნება და გადაუდებელი მკურნალობა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ კანონის დაცვით); მკურნალობის შეწყვეტა ან არდაწყება; გადაწყვეტილებები პაციენტის რეანიმაციასთან კავშირში; სუროგატობის შესახებ კანონმდებლობა; ორგანოთა დონაცია და მოპოვება; გადამდები დაავადებების აღწერა; სამედიცინო რისკები და მართვა; მონაცემთა დაცვა და ინფორმაციული აქტის თავისუფლება;
	იცოდეს სამედიცინო კანონმდებლობის წყაროები
	ესმოდეს სამედიცინო შეცდომებთან დაკავშირებული დისციპლინარული პროცესები
	ესმოდეს სამედიცინო რეზიდენტის როლი პიროვნულ ჯანმრთელობასთან და ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებასთან მიმართებაში
ბ) უნარ-ჩვევები	ჰქონდეს უნარი იმუშაოს სხვა სააგენტოებთან ლეგალურ საკითხებთან დაკავშირებით
	ჰქონდეს უნარი მოამზადოს შესაბამისი სამედიცინო ლეგალური დოკუმენტი სასამართლოზე, პროკურატურაში წარსადგენად და სხვა ლეგალური პროცედურებისათვის
	იყოს მზად იმისთვის, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტების პრეზენტაცია გააკეთოს სასამართლოზე
	კანონმდებლობასთან დაკავშირებული პრინციპები ჩართოს ყოველდღიურ პრაქტიკაში
	კლინიკური პრაქტიკისას აწარმოოს ზუსტი დოკუმენტაცია
გ) ქცევა	ჰქონდეს მზაობა, მიიღოს რჩევა სხვადასხვა მედიკო-ლეგალურ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისი სტრუქტურულიდან
	დაეხმაროს ჯგუფის წევრებს ლეგალურ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრების ჩამოყალიბებაში

<p>დ) დონის აღწერა</p>	<p>აქვს ცოდნა სამედიცინო კვალიფიკაციასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებულ ლეგალურ საკითხებში. იცის პროფესიონალური შესაძლებლობების ლიმიტები, განსაკუთრებით პრე-სერტიფიცირებულ ექიმებში უფროს კოლეგებთან ერთად საზღვრავს სამედიცინო შემთხვევებს, რომლებიც უნდა მოხსენდეს გარეშე სტრუქტურებში და საჭიროებისას დაწეროს რეპორტი</p>
	<p>უფროს კოლეგებთან ერთად განსაზღვროს კლინიკური სიტუაციები, სადაც მისი შეხედულებები სამედიცინო ლეგალურ საკითხებთან მიმართებაში შეიძლება იყოს სასარგებლო. იცნობდეს ლოკალურ სასამართლო პროცედურებს კლინიკურ შეცდომებთან და ნივთიერებების ჭარბად მოხმარებასთან დაკავშირებით</p>
	<p>მუშაობს გარეშე სტრუქტურებთან შემთხვევებზე, თანამშრომლობს მათთან კოპლექსური შემთხვევების ირგვლივ და საჭიროებისას წერს მოკლე რაპორტებს და დებულებებს. აქტიურად უწყობს ხელს კლინიკურ გარემოში არსებულ სამედიცინო ლეგალურ საკითხებზე დისკუსიას. მონაწილეობს რეანიმაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში</p>
	<p>მუშაობს გარეშე სტრუქტურებთან შემთხვევებზე, თანამშრომლობს მათთან კოპლექსური შემთხვევების ირგვლივ და წერს მოკლე რაპორტებს და დებულებებს თუ საჭიროა იღებს ლიდერის ფუნქციას და უზრუნველყოფს, რომ ყველა ლეგალურ საკითხებზე განხილვა მიდიოდეს ღიად და რეგულარულად. თუ საჭიროა პაციენტზე ზრუნვისას, ასევე უზრუნველყოფს, რომ პაციენტები და ახლობლები ჩართულები იყვნენ გადაწყვეტილების მიღებაში</p>
<p>21.</p>	<p>ეთიკური კვლევები <i>უზრუნველყოფა, რომ კვლევები ტარდება ეთიკური გაიდლაინების შესაბამისად</i></p>
<p>ა) ცოდნა</p>	<p>იცოდეს გაიდლაინი კვლევის ჩატარების შესახებ</p>
	<p>იცოდეს განსხვავება კვლევისა და აუდიტს შორის</p>
	<p>აღწეროს როგორ იქმნება კლინიკური გაიდლაინები</p>
	<p>წარმოაჩინოს ცოდნა კვლევის პრინციპებში</p>
	<p>იცოდეს კვლევის კითხვის ფორმულირების და პროექტის დიზაინის შექმნის პრინციპები</p>
	<p>შეადაროს ხარისხობრივი, რაოდენობრივი, ბიო-სტატისტიკური და ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები</p>
	<p>იცოდეს კვლევის ფინანსირების წყაროები</p>
<p>ბ) უნარ-ჩვევები</p>	<p>განავითაროს კრიტიკული ჩვევები და გამოიყენოს ისინი, როდესაც კითხულობს ლიტერატურას</p>
	<p>ჰქონდეს უნარი წეროს სამეცნიერო ნაშრომი</p>
	<p>მიმართოს სათანადო ეთიკურ კომისიას დამტკიცებისთვის</p>
	<p>ჰქონდეს უნარი გამოიყენოს ლიტერატურაში არსებული მონაცემები</p>
	<p>ჰქონდეს კარგი ვერბალური და წერიტი უნარები</p>
	<p>ესმოდეს განსხვავება პოპულაციაზე და ერთეულზე დაფუძნებულ კვლევებს შორის და შეეძლოს შედეგები გამოიყენოს ეპიდემიოლოგიური სამუშაოსთვის</p>

ბ)ქვევა	გაიაზროს ეთიკური პასუხისმგებლობა. კვლევა ჩაატაროს პაციონად პაციენტის ინტერესების დაცვით, საჭიროებისას მიმართოს ეთიკურ საბჭოს
	მიჰყვეს ეთიკურ გაიდლაინებს და მიიღოს თანხმობა კვლევისას
დ)დონის აღწერა	იცის ეთიკური კვლევის განმარტება იცნობს გაიდლაინებს. ასხვავებს აუდიტს და კვლევას. იცის როგორ გამოიყენოს არსებული მონაცემები.
	აქვს უნარი დაწეროს სამეცნიერო შრომა და აქვს კრიტიკული აზროვნება
	აქვს უნარი გააკეთოს განაცხადი სათანადო ეთიკური კვლევის დამტკიცებისთვის, იცის სად მოიპოვოს დაფინანსება, აქვს კარგი პრეზენტაციის და წერის უნარები
	კვლევის წარმოებისას არის ლიდერი, ახდენს კვლევის ფორმულირებას და ავითარებს მას
	<i>თითოეული რეზიდენტის ვალდებულებაა იცნობდეს კლინიკური მართვის სათანადო ასპექტებს და მიაღწიონ უმაღლეს სტანდარტებს, რაც კი შესაძლებელია ფაქტებზე დამყარებული ცოდნა პრაქტიკასთან ერთად, ასევე მუშაობისას კონტროლი აუცილებელია ექიმისთვის, რომელიც გადის რეზიდენტურას შინაგან მედიცინაში</i>
22.	მტკიცებულებები და გაიდლაინები პროგრესულად უვითარდებათ უნარი ოპტიმალურად გამოიყენონ ფაქტებზე დამყარებული მედიცინა გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის მართვისას
ა)ცოდნა	ესმოდეს სტატისტიკის გამოყენება სამეცნიერო სამედიცინო პრაქტიკაში
	ესმოდეს კვლევის სხვადასხვა მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები (რანდომიზებული კვლევები, შემთხვევათა კოჰორტული კვლევა და ა.შ.)
	ესმოდეს კრიტიკული შეფასების პრინციპები
	ესმოდეს მტკიცებულების დონე და ხარისხი
	ესმოდეს გაიდლაინების ჩამოყალიბებაში მტკიცებულებების როლი და შეზღუდვები
	ესმოდეს გაიდლაინების დადებითი და უარყოფითი მხარეები
	ესმოდეს პროცესები, რომელთა შედეგად იქმნება ეროვნული გაიდლაინები
ბ)უნარ-ჩვევები	ჰქონდეს უნარი მოიპოვოს ინფორმაცია სამედიცინო ლიტერატურით და ინტერნეტით
	შეაფასოს მტკიცებულება კლინიკურ კითხვასთან მიმართებაში
	გაკეთოს დასკვნები კლინიკური მუშაობის კრიტიკული შეფასებისას
	განსაზღვროს კვლევის შეზღუდვები
	ხელი შეუწყოს ლოკალური გაიდლაინების შექმნას და განახლებას ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით
გ)ქვევა	მუდმივად ეცნობოდეს ეროვნულ გაიდლაინებს და შესწორებებს
	მისი მიზანი იყოს საუკეთესო კლინიკური პრაქტიკა (კლინიკური ეფექტურობა)
	G ზოგიერთ შემთხვევაში უგულვებელყოს კლინიკური გაიდლაინები

	ჩაერთოს კოლეგებთან დისკუსიაში ფაქტებზე დამყარებულ მედიცინასთან მიმართებაში
--	--

**მმუხლი 29. სიმპტომებზე დაფუძნებული კომპეტენციები;
გადაუდებელი სიტუაციები**

1.	გულის გაჩერება - რეზიდენტს ექნება სრული კომპეტენცია შეაფასოს გულის კარდიორესპირატორული გაჩერების მქონე პაციენტი და ჩაატაროს რეანიმაცია
ა) ცოდნა	იცის კარდიორესპირატორული არესტის მიზეზები გაიხსენებს ALS ალგორითმს მოზრდილებში გულის გაჩერებისას იცოდეს ALS ალგორითმისას გამოყენებული - წამლების ჩვენებები და უსაფრთხო გამოყენება
ბ) უნარ-ჩვევები	სწრაფად შეაფასოს უგონო პაციენტის ABC საპაერო გზები, სუნთქვა და ცირკულაცია ასრულებდეს BLS-ს კომპეტენტურად: გულმკერდის ეფექტური კომპრესია, ჩასუნთქვის მანევრები, ბეგით და ნიღბით ვენტილაცია კომპეტენტურად შეასრულოს ALS-ის დანარჩენი საფეხურები: ი/ვ წამლების ადმინისტრაცია, ელექტრული კარდიოვერსია. როცა საჭიროა, გულის გაჩერების მიზეზების იდენტიფიკაცია და აღკვეთა
გ) ქცევა	გამოიცნოს და ჩაერიოს კრიტიკულ მდგომარეობაში სწრაფად, რომ მოახდინოს გულის გაჩერებასთან ასოცირებული მოვლენების პრევენცია, მაგ: ჰიპოქსია, გულის გაჩერებასთან ასოცირებული არითმიები შეინარჩუნოს უსაფრთხო გარემო პაციენტისა და სამედიცინო თანამშრომლებისათვის ჰქონდეს ვალიდური ALS სერტიფიკატი (სავალდებულოა) ლაკონურად წარუდგინოს სიტუაციის კლინიკური დეტალები ხელმძღვანელს გაიაროს კონსულტაცია უფროს კოლეგასთან და მოითხოვოს ანესთეზიოლოგთა დახმარება გაიაზროს თანამშრომლებისათვის ცუდი ამბების თანაგრძნობით შეტყობინების მნიშვნელობა
2.	მართოს პაციენტი შოკური სტატუსით რეზიდენტს შეეძლება მოახდინოს შოკის იდენტიფიცირება, შეაფასოს კლინიკური სტატუსი, გააკეთოს შესაბამისი დიფერენციალური დიაგნოზის ჩამონათვალი და დაიწყოს გადაუდებელი დახმარება
ა) ცოდნა	გამოიცნოს შოკის განმსაზღვრელი ფიზიოლოგიური ცვლილებები, განსაზღვროს შოკის პრინციპულად განსხვავებული სახეები (მაგ. კარდიოგენული, ანაფილაქსიური) გამოავლინოს თითოეულ კატეგორიაში ძირითადი პათოლოგიები (მაგ, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა, ფილტვის ემბოლია, ჰემორაგია, სეფსისი) იცოდეს სეფსისის ნიშნები
ბ) უნარ-ჩვევები	იცოდეს ძირითადი ფიზიოლოგიური ცვლილებების მნიშვნელობა

	ჩაატაროს გადაუდებელი ფიზიკური შეფასება (ABC)
	დაიწყოს გადაუდებელი რეანიმაცია (O ₂ , ი/ვ ხაზი, სითხეების გადასხმა)
	ჩაატაროს მარტივი ინდიკატორების მონიტორინგი (ABG, პულსოქსიმეტრი) და სასიცოცხლო ნიშნების (T/A; P; R-R და სუნთქვის სიხშირე, ტემპერატურა, შარდის გამოყოფა)
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები (ეკგ, სისხლის კულტურები, სისხლის საერთო ანალიზი, ელექტროლიტები და ა.შ.), მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია და რეაგირება
ბ)ქცევა	გამოავლინოს მშვიდი და თანმიმდევრული მიდგომა კრიტიკული პაციენტის მართვისას
	აილოს ლიდერის ფუნქცია, როცა საჭიროა
	ჩართოს უფროსი კოლეგები და სხვადასხვა სპეციალობის სამსახურები დროულად
3.	უგონო პაციენტი <i>რეზიდენტს ექნება უნარი სწრაფად შეაფასოს უგონო პაციენტი, ჩაატაროს დიფერენციალური დიაგნოზი, მოახდინოს უსაფრთხო მონიტორინგი, გამოიკვლიოს შესაბამისად და მოახდინოს მენეჯმენტის საწყისი გეგმის ფორმულირება</i>
ა)ცოდნა	განსაზღვროს უგონო მდგომარეობის ძირითადი მიზეზები (მეტაბოლური, ნევროლოგიური)
	გაიაზროს სხვა პრინციპული მიზეზები (წამლები, ჰიპოგლიკემია, ჰიპოქსია, ტრამვა, სისხლძარღვოვანი, ინფექცია, მომატებული ინტრაკრანიალური წნევა)
	ჩამოთვალოს თითოეულისთვის შესაბამისი გამოკვლევები
	იცოდეს გადაუდებელი მართვის პრინციპები
ბ)უნარ-ჩვევები	მოახდინოს სწრაფი შეფასება, მათ შორის ნერვული სისტემის (თავი, კისერი, ზურგის ტვინი) და ცნობიერების (გლაზგოს კომის შკალით)
	დაიწყოს შესაბამისი გადაუდებელი დახმარება (ABC, კისრის საყელო, გლუკოზა)
	შეკრიბოს ინფორმაცია მოწმეებისგან, სანამ პაციენტი სტაბილიზდება
	მოახდინოს მარტივი კვლევების პრიორიტეტულობის დასაბუთება, შეკვეთა, ინტერპრეტაცია და რეაგირება
	დაიწყოს ადრეული მართვა, მათ შორის უსაფრთხო მონიტორინგი
ბ)ქცევა	გაიაზროს გადაუდებელი შეფასების და რეანიმაციის საჭიროება
	აილოს ლიდერობა, როცა საჭიროა
	ჩართოს შესაბამისი სპეციალისტები, რათა გაადვილდეს სწრაფი შეფასება და მენეჯმენტი (მაგ: რადიოლოგია, ინტენსიური თერაპია, ნეიროქირურგია)
4.	ანაფილაქსია <i>რეზიდენტს ექნება უნარი განსაზღვროს ანაფილაქსიური შოკის მონე პაციენტი, შეაფასოს მათი კლინიკური მდგომარეობა, ჩაატაროს შესაბამისი დიფ. დიაგნოზი, დაიწყოს გადაუდებელი რეანიმაცია და მენეჯმენტი, დაგეგმოს შემდგომი კვლევები</i>
ა)ცოდნა	განსაზღვროს ფიზიოლოგიური ცვლილებები, რომლებიც იწვევენ ანაფილაქსიას
	გაიაზროს ანაფილაქტიური შოკის კლინიკური მანიფესტაცია
	გამოავლინოს ანაფილაქტიური შოკის მიზეზები
	განსაზღვროს რეანიმაციის შემდგომი გზები

ბ)უნარ-ჩვევები	ჩაატაროს სწრაფი ფიზიკური შეფასება (ხორხის შემუშება, ბრონქოსპაზმი, ჰიპოტენზია)
	დაიწყოს რეანიმაცია (ადრენალინი), ჟანგბადი, ინტრავენური ხაზი, სითხეები
	დაიწყოს სათანადო პარამეტრების მონიტორინგი
	შეუკვეთოს და მოახდინოს საწყისი კვლევების ინტერპრეტაცია და რეაგირება მათზე (ტრიპტაზა, C1 ესტერაზას ინჰიბიტორი და ა.შ.)
	იყოს ALS პროვაიდერი
გ)ქცევა	გამოავლინოს მშვიდი და თანმიმდევრული მიდგომა კრიტიკული პაციენტის მართვისას
	აიღოს ლიდერობა როცა საჭიროა
	ჩართოს უფროსი კოლეგები და ალერგოლოგები მართვაში დროულად

მუხლი 30. უხშირესი სამედიცინო მდგომარეობები

1.	მუცლის ტკივილი
ა)ცოდნა	იცოდეს სხვადასხვა ტიპის მუცლს ტკივილი და როგორ შეიძლება მოხდეს კლინიკური ნიშნებით და ანამნეზით მათი დიფერენცირება
	განსაზღვროს მუცლის ტკივილის სავარაუდო მიზეზები ტკივილის ადგილის, ანამნეზის დეტალების და ხანგრძლივობის მიხედვით
	განსაზღვროს სიტუაციები, როდესაც ურგენტული ქირურგიული, უროლოგიური და გინეკოლოგიური ჩარევა შეიძლება იყოს საჭირო
	განსაზღვროს, რომელი პირველი რიგის კვლევები არის საჭირო სავარაუდო დიაგნოზიდან გამომდინარე
	განსაზღვროს სპეციფიური კვლევების ჩვენებები: ულტრასონოგრაფია, CT, MRI, ენდოსკოპია
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლინოს დაჭიმულობა და სხვა ნიშნები და მოახდინოს მათი შესაბამისი ინტერპრეტაცია
	შეუკვეთოს და მოახდინოს საწყისი კვლევების ინტერპრეტაცია და რეაგირება მათზე: სისხლის ანალიზი, რენტგენი, ეკგ, მიკრობიოლოგიური კვლევები
	დაიწყოს I რიგის მკურნალობა: ანალგეზია; კ/ო და ი/ვ სითხეები P
	მოახდინოს მაკროსკოპული პათოლოგიის (მათ შორის ღვიძლის მეტასტაზების, შადსაწვეთების ობსტრუქციის, ჰისრონეფროზის) ინტერპრეტაცია CT კვლევით.
გ)ქცევა	მოახდინოს სწრაფი რეაგირება, როდესაც მუცლის ტკივილი არის კრიტიკული დაავადების გამოვლინება ან არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა
	გაანალიზოს მულტიდისციპლინარული მიდგომის მნიშვნელობა ადრეულ ქირურგიულ შეფასებაში როდესაც ეს საჭიროა
	გამოავლინოს კეთილგანწყობა ტკივილზე ფიზიკური და მენტალური პასუხისადმი
	ჩართოს სხვა სპეციალისტები როცა საჭიროა
2.	მწვავე ზურგის ტკივილი
	<i>რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი ახლად გამოვლენილი ზურგის ტკივილით, გაატაროს დიფ. დიაგნოზი. შეძლოს მართვის გეგმის ფორმულირება და მისი განახორციელება.</i>
ა)ცოდნა	გაიხსენოს ზურგის ტკივილის მიზეზები

	განსაზღვროს აბდომინური პათოლოგიები, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზურგის ტკივილით
	იცოდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ მწვ/ქრ. მიზეზებზე
	გაიხსენოს ხერხემლის გადაუდებელი MRI-ის ჩვენება
	გაიხსენოს ჰოსპიტალიზაციის ჩვენებები ზურგის ტკივილისას
	გაიხსენოს ოსტეოპოროზის მეორადი პრევენცია
ბ)უნარ-ჩვევები	გასინჯოს და გამოავლინოს ზურგის ტვინის ან რაშის კუდის დაზიანება
	უსაფრთხოდ გამოწეროს ანალგეტიკები/დამამშვიდებელი საშუალებები სიმპტომების შემსუბუქებისათვის
	შეუკვეთოს და მოახდინოს საწყისი კვლევების ინტერპრეტაცია და რეაგირება მათზე: სისხლის ანალიზები, რენტგენი
გ)ქცევა	დროულად ჩართოს ნეიროქირურგიული გაყოფილება ნეიროლოგიური ნიშნების ან სიმპტომების არსებობისას
	სთხოვოს დახმარება უფროს კოლეგას, როდესაც სავარაუდოა მუცლის კრიტიკული პათოლოგია
	გაანალიზოს ზურგის ქრ. ტკივილის სოციო-ეკონომიური ფაქტორები
	მონაწილეობა მიიღოს მულტიდისციპლინარულ მიდგომაში
	გაანალიზოს ოსტეოპოროზის გავლენა და ჩართოს ძვლის დაცვა ყველა სარისკო პაციენტში
3.	თირკმლის მწვავე დაზიანება და თირკმლის ქრონიკული დაავადება
ა)ცოდნა	რეზიდენტს უნდა შეეძლოს თირკმლის ფუნქციური დარღვევების მქონე პაციენტების შეფასება, თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებების ერთმანეთისაგან გარჩევა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, შესაბამისი გამოკვლევების შერჩევა და დანიშვნა და შესაბამისი მკურნალობის წარმართვა.
	იცოდეს თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადების გამომწვევი ნაკლებად ხშირი ფორმების მიზეზები.
	განსაზღვროს კლინიკური მიდგომა თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადების გამომწვევი ნაკლებად ხშირი ფორმების მართვის დროს.
	წყალ-მარილოვანი წონასწორობის დაცვა კომპლექსურ პაციენტებში.
ბ)უნარ-ჩვევები	თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გეგმის შემუშავება.
	გააცნობიეროს, რომ თირკმლის მწვავე დაზიანების მიზეზი შეიძლება იყოს ობსტრუქცია ან ანთება.
	შეაფასოს სითხის ბალანსი და მოახდინოს სითხის ადექვატურად შევსება კომპლექსურ პაციენტებში.
	თირკმლის უკმარისობის მქონე პაციენტებში შესაბამისი მედიკამენტების შერჩევა.
გ)ქცევა	შეეძლოს შესაბამისი სპეციალისტების დროული ჩართვა.
4.	კოლაფსი
	რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტის კოლაფსი, შეადგინოს ვალიდური დიფერენციალური დიაგნოზი, გამოიკვილოს შესაბამისად, მოახდინოს მენეჯმენტის გეგმის ფორმულირება და შეასრულოს იგი
ა)ცოდნა	გაიხსენოს კოლაფსის მიზეზები

	მოახდინოს მიზეზების დიფერენცირება სიტუაციის, ასოცირებული სიმპტომების, ნიშნების და მოწმეების მონათხრობიდან გამომდინარე
	იცოდეს დროებითი და მუდმივი პეისმეიკერის ჩვენებები
	განსაზღვროს კვლევების ჩატარების ჩვენებები: ექოსკოპია, ამბულატორიული ეკგ მონიტორინგი, ნეიროიმიჯინგი
ბ) უნარ-ჩვევები	გამოიკვლიოს ანამნეზი, რომ დააადგინოს იყო თუ არა გონების კარგვა, ვერტიგო (თუ შესაძლებელია მოწმის გამოიყენოს მონათხრობი)
	შეაფასოს პაციენტი ABC-ის კუთხით და ცნობიერების დონე და მართოს შესაბამისად
	გასინჯოს პაციენტი, რათა გამოავლინოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ნევროლოგიური დაავადების ნიშნები და ეპილეპტიური დარღვევა განასხვავოს სხვა მიზეზებისგან
	შეუკვეთოს საწყისი კვლევები, მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია და რეაგირება მაგ: გლუკოზა
	მართოს არითმიები ALS-ის გაიდლაინის შესაბამისად
	გამოავლინოს ორთოსტატიკური ჰიპოტენზია
	დაიწყოს გარეგანი პეისინგი როცა საჭიროა
გ) ქცევა	გაანალიზოს კოლაფსის ეპიზოდების გავლენა ცხოვრების წესზე, განსაკუთრებით მოხუცებში
	გაიაზროს რეკომენდაციები ვარჯიშთან მიმართებაში არადიაგნოსტიკური პრესინკოპეს ეპიზოდების დროს
5.	ჰაერის უკმარისობა რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი ჰაერის უკმარისობით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმა
ა) ცოდნა	გაიხსენოს მნიშვნელოვანი კარდიორესპირატორული მდგომარეობები, რომლებიც იწვევენ ჰაერის უკმარისობას
	ჩაატაროს ორთოპნოეს და ღამის პაროქსიზმული დისპნოეს დიფ. დიაგნოსტიკა
	მოახდინოს არაკარდიო-რესპირატორული ფაქტორების დიფერენცირება, რომელსაც წვლილი შეაქვს ან არსებობს უჰაერობისას, მაგ. აციდოზი
	განსაზღვროს ჰაერის უკმარისობის პათოფიზიოლოგია
	ჩამოთვალოს მსტვინავი სუნთქვისა და სტრიდორის მიზეზები
	იცოდეს სპირომეტრიის, გულმკერდის/ფილტვების CT ანგიოგრაფიის ჩვენებები
ბ) უნარ-ჩვევები	მოახდინოს ანამნეზის და კლინიკური ნიშნების ინტერპრეტაცია სათანადო დიფერენციალური დიაგნოზის გასატარებლად
	მოახდინოს მსტვინავი სუნთქვისა და სტრიდორის დიფერენცირება
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები (სისხლის ლაბ. ანალიზები, სატურაცია, ABG, გულმკერდის Rx, ეკგ, სპირომეტრია, Peak flow-ტესტი). მოახდინოს ინტერპრეტაცია და მათზე სათანადო რეაგირება
	დაიწყოს დიაგნოზის შესაბამისი მკურნალობა, მათ შორის უსაფრთხო ოქსიგენოთერაპია, პნევმონიისას ადრეული უსაფრთხო ანტიბიოტიკოთერაპია
	ახდენდეს პლევრის ღრუ პუნქციას და დრენირებას
	ამოიცნოს უჩვეულო ქოშინი და ჰიპერვენტილაცია

	მოახდინოს მსტვინავი სუნთქვის და სტრიდორის სათანადო მართვა
	გამოიკვლიოს და ურჩიოს პაციენტს ინჰალაციური თერაპია
	იცოდეს ვენტილაციური დახმარების ჩვენება მათ შორის ინტუბაციის და არაინვაზიური ვენტილაციის
გ)ქცევა	მწვავე ფაზაში მოახდინოს სწრაფი შეფასება და მართვა
	განაალიზოს სტრესი, რომელიც ახლავს ჰაერის უმარისობას და ესაუბროს პაციენტს და მის ახლობლებს
	განაალიზოს ხანგრძლივი ავადმყოფობის გავლენა პაციენტზე
	გაიაროს კონსულტაცია ხელმძღვანელთან როდესაც რესპირატორული დისრტესია აშკარაა
	ჩართოს რენიმატოლოგთა ჯგუფი სწრაფად, როცა ეს საჭიროა
	არ მიუდგეს კრიტიკულად პაციენტებს, რომელთაც ანამნეზში აქვს მწვევლობა
6.	ტკივილი გულმკერდის არეში რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი გულმკერდში ტკივილით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმა
ა)ცოდნა	დაახასიათოს გულმკერდში ტკივილის სხვადასხვა ტიპი და გამოავლინოს სხვა თანმხლები სიმპტომები
	ჩამოთვალონ და განასხვავონ თითოეული ტიპის ტკივილის გამომწვევი მიზეზები: კარდიორესპირატორული, ნერვ-კუნთოვანი, კუჭნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილის წყლული
	განმარტოს მწვავე კორონარული სინდრომის და პულმონარული ემბოლიის პათოფიზიოლოგია
	განსაზღვროს PCI და თრომბოლიზის ჩვენება მწვ. კორონარული სინდრომისას
	განსაზღვროს კარდიული ფერმენტების და D-დიმერის ანალიზის ჩვენებები და შეზღუდვები
	იცოდეს PE-ის გადაუდებელი და ხანგრძლივი მკურნალობა
	იცოდეს გულმკერდში ტკივილისას შემდგომი გამოკვლევების ჩვენებები: CT ანგიოგრაფია და ტრედმილი
ბ)უნარ-ჩვევები	მოახდინოს ანამნეზის და კლინიკური ნიშნების ინტერპრეტაცია დიფერენციალური დიაგნოზისთვის, განსაკუთრებით კარდიული და პლევრალური ტკივილისას
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები (სისხლის ლაბ. ანალიზები, ABG, გულმკერდის Rx, ეკგ, კარდიული ფერმენტები), მოახდინოს ინტერპრეტაცია და მათზე სათანადო რეაგირება
	ჩაატაროს მწვ. კორონარული სინდრომის, PE-ს და აორტის დისექციის საწყისი გადაუდებელი მკურნალობა
	აირჩიოს მკურნალობისთვის შესაბამისი ადგილი და მონიტორინგის ხარისხი
	მოახდინოს გაწერის გეგმის ფორმულირება
გ)ქცევა	ჩაატაროს დროული კვლევა და მკურნალობა პაციენტებში, რომელთაც აქვთ გულმკერდის ტკივილი
	ჩართოს ხელმძღვანელი, როდესაც გულმკერდის ტკივილი მიუთითებს კრიტიკულ დაავადებაზე ან მიზეზი უცნობია
	გაიაზროს კარდიოლოგიური ექთნების და ტექნიკოსების წვლილი და

	გამოცდილება
	რეკომენდაცია მისცეს პაციენტს მეორად პრევენციაზე და ცხოვრების სტილის შეცვლაზე გაწერისას
	დროულად და სრული კომუნიკაცია პაციენტთან და მის ახლობლებთან
7.	მწვავე კონფუზია/დელირიუმი <i>ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი ცნობიერების დარღვევით/დელირიუმით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმა</i>
ა)ცოდნა	ჩამოთვალოს ცნობიერების დარღვევის/დელირიუმის მიზეზები
	იცოდეს მნიშვნელოვანი საწყისი გამოკვლევები, მათ შორის ელექტროლიტები, სისხლის საერთო ანალიზი, კულტურები, ABG, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები
	გაიაზროს ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გააღმავოს დელირიუმი, მაგ: გარემოს შეცვლა, ინფექცია
	ჩამოთვალოს ფაქტორები, რომლებიც წინ უსწრებენ ცნობიერების დათრგუნვას/დელირიუმს
	იცოდეს შემდგომი კვლევების ჩატარების ჩვენებები, მათ შორის თავის CT კვლევა, ლუმბალური პუნქცია
ბ)უნარ-ჩვევები	გასინჯოს პაციენტი, რომ გამოავლინოს ცნობიერების დაბინდვის/დელირიუმის მიზეზები
	ჩაატაროს მენტალური სტატუსის შემოწმება, რათა შეაფასოს ცნობიერების დარღვევის სიმძიმე და პროგრესი
	გაიაზროს მანამდე არსებული ფაქტორები: ცნობიერების დარღვევა, ფსიქიატრიული დაავადება
	გაიაზროს და იმოქმედოს საწყისი გამოკვლევების (თავის ტვინის CT, ლუმბალური პუნქცია) შედეგების შესაბამისად
	გამოიცნოს და მოახდინოს ინტერპრეტაცია თავის ტვინის დიდი დაზიანებების CT ან MRI კვლევით, მაგ: შუა ხაზის გადაწევა, ინტრაცერებრული ჰემატომა
გ)ქცევა	გაიაზროს, რომ ცნობიერების მწვავე დარღვევის/ დელირიუმის მიზეზი ხშირად მულტიფაქტორულია
	მიიღოს მონაწილეობა მულტიდისციპლინარულ ჯგუფურ მართვაში
	გაიაზროს ასეთი პაციენტის გავლენა თანამშრომლებზე და სხვა პაციენტებზე საავადმყოფოს გარემოში. შეეძლოს საინჰალაციაო საშუალებებისა და ნებულაიზერების გამოყენება.
8.	ხველა <i>ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი ხველით , შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმა</i>
ა)ცოდნა	ჩამოთვალოს ხველის ძირითადი მიზეზები
	განსაზღვროს რისკ-ფაქტორები თითოეულ ეტიოლოგიურ ფაქტორთან მიმართებაში მათ შორის გამომწვევი წამლები
	განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ხველა და როგორ შეიძლება ანამნეზით და კლინიკური სურათით მათი გარჩევა
	იცოდეს რომელი პირველი რიგის კვლევები არის საჭირო სავარაუდო დიაგნოზიდან გამომდინარე

ბ)უნარ-ჩვევები	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები, მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია და სათანადო რეაგირება: სისხლის ლაბ. ანალიზები, ABG, გულმკერდის Rx, და სხვა რადიოლოგიური კვლევები, ასევე ფილტვის ფუნქციური გამოკვლევები, ბრონქოსკოპია.
	იცნობდეს ხველის ძირითადი მიზეზების მენეჯმენტს
გ)ქცევა	დაეხმარონ პაციენტს გაეცნონ თავიანთ დაავადებას
	არ მივუდგეთ კრიტიკულად პაციენტებს, რომელთაც ანამნეზში აქვს მწვევლობა
	დაუკავშირდეს ხელმძღვანელს დროულად როცა საჭიროა
	გაიაზროს მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობა
9.	დიარეა ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი დიარეით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმა
ა)ცოდნა	დიარეის სპეციფიური მიზეზები
	დაუკავშიროს კლინიკური სურათი სხვა სიმპტომებს: მუცლის ტკივილი, რექტალური სისხლდენა, წონის დაკლება
	გაიხსენოს დიარეის პათოფიზიოლოგია ეტოლოგიური ფაქტორის მიხედვით
	აღწეროს გამოკვლევები, რომლებიც საჭიროა დიაგნოზის დასმისთვის
	განსაზღვროს დიარეის მქონე პაციენტებში ურგენტული ქირურგიული ჩარევის ჩვენებები
	გაიხსენოს C. difficile დიარეასთან ასოცირებული დიარეის ნიშნები, გამოკვლევები, პრევენცია და მკურნალობა
	გამოავლინოს ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული პროცედურების ცოდნა
ბ)უნარ-ჩვევები	გამოიკვლიოს პაციენტის კვებითი და ჰიდრატაციული სტატუსი
	შეაფასოს სჭირდება თუ არა პაციენტს ჰოსპიტალიზაცია
	ჩაატაროს რექტალური გასინჯვა, როგორც ფიზიკური კვლევის ნაწილი
	შეუკვეთოს გამოკვლევები (სისხლის და განავლის ანალიზი, ენდოსკოპიური და რადიოლოგიური კვლევა) და მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია:
გ)ქცევა	როდესაც საჭიროა დაიხმაროს ქირურგი და ხელმძღვანელი
	გამოავლინოს კეთილგანწყობა და თანაგრძნობა, როდესაც პაციენტს აქვს დიარეასთან ასოცირებული სტრესი
10.	გონების კარგვა ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი გონების კარგვით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმა
ა)ცოდნა	გაიხსენოს გონების კარგვის მიზეზები და რისკფაქტორები
	იცოდეს რას მოიცავს პაციენტის შეფასება, რომელსაც აქვს გონების კარგვა და გაატაროს დიფ. დიაგნოსტიკა
	გაიხსენოს კავშირი გონების კარგვასა და მოტეხილობას შორის
	გაიხსენოს გონების კარგვის შედეგები, როგორცაა ინფექცია, თვითდაჯერებულობის დაკარგვა
ბ)უნარ-ჩვევები	განსაზღვროს გულისწასვლის გარემოებების მიხედვით რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეპიზოდი და განსაზღვროს საჭიროა თუ არა შემდგომი

	გამოკვლევები
	განსაზღვროს გონების კარგვის შესაძლო გართულებები
	ჩაატაროს შესაბამისი მკურნალობა, მათ შორის ტკივილის მართვა
გ)ქცევა	განსაზღვროს გონების კარგვის მნიშვნელობა
	დაეხმაროს პაციენტს გაიგოს მისი გონების კარგვის მიზეზი
	განიხილოს უფროსებთან საკითხები დროულად
11.	ცხელება რესიდენტს უნდა შეეძლოს ცხელების მქონე პაციენტის შეფასება, ვალიდური დიფერენციული დიაგნოზის წარმართვა, შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა, პაციენტის მართვის გეგმის ფორმულირება და იმპლემენტაცია.
ა)ცოდნა	უცნობი ეტიოლოგიის ცხელების შემთხვევაში შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა, რადგან საწყისი გასინჯვით ვერ ხერხდება ცხელების მიზეზის დადგენა.
	იმუნოდეფიციტის ძირითადი მიზეზების ცოდნა (ინფექცია, გარმაკოლოგიური საშუალებები, შეძენილი და თანდაყოლილი იმუნოდეფიციტი).
	პრიფილაქტიკური ანტიბიოტიკოთერაპიის პრინციპების ცოდნა.
	იცოდეს თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადების გამომწვევი ნაკლებად ხშირი ფორმების მიზეზები.
	განსაზღვროს კლინიკური მიდგომა თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადების გამომწვევი ნაკლებად ხშირი ფორმების მართვის დროს.
	წყალ-მარილოვანი წონასწორობის დაცვა კომპლექსურ პაციენტებში.
ბ)უნარ-ჩვევები	გააცნობიეროს ცხელების არაინფექციური ეტიოლოგიის ალბათობა და დანიშნოს შესაბამისი გამოკვლევები.
	ნეიტროპენიური სეფსისის მართვა.
	ტროპიკული ცხელების შემთხვევაში დანიშნოს შესაბამისი გამოკვლევები და წარმართოს საწყისი მკურნალობა.
გ)ქცევა	მიიღოს რჩევა-დარიგებები სპეციალიტებისაგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საშიში ინფექციისა და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების გავრცელების რისკი
	მოიტყვეს ადგილობრივი და ეროვნული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად საყოფაცხოვრებო ინფექციების არსებობის დროს
12.	კრუნჩხვები რესიდენტს უნდა შეეძლოს კრუნჩხვების მქონე პაციენტის შეფასება და სწრაფი სტაბილიზაცია, ასევე მოახდინოს შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა. გამოკვლევების გეგმის ფორმულირება და იმპლემენტაცია.
ა)ცოდნა	იცოდეს ელექტრენცეფალოგრაფიის და სხვა კვლევების ჩვენებები, როდესაც საწყისი გამოკვლევები არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას.
	ეპილეფსიის მართვა.
ბ)უნარ-ჩვევები	თავის ტვინის კტ და მრტ კვლევების დანიშვნა და ინტერპრეტაცია.
	გააცნობიეროს, რომ პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას და სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენას და შემდგომ მოახდინოს ინტენსიური მკურნალობის ორგანიზაცია.
	ანტიკონვულსაციური მედიკამენტების უსაფრთხო დანიშვნა.

	ანტიკონვულსაციური მედიკამენტების დანიშვნის საჭიროების განხილვა და საუკეთესო არჩევანი პაციენტთან ერთად.
	ფსევდო კრუნჩხვების გამოცნობა და მართვა.
გ) ქცევა	მისცეს რჩევა დარიგებები პაციენტებს მანქანის ტარების დროს, ორსულობის დროს, სამუშაოს შესრულების დროს და ალკოჰოლის მოხმარების შესახებ
13.	ჰემატემეზი და მელენა რესიდენტს უნდა შეეძლოს იმ პაციენტების შეფასება, რომელთაც აღენიშნებათ სისხლდენა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზემო ნაწილიდან. გააცნობიეროს პრობლემის მნიშვნელობა, მოახდინოს მდგომარეობის სასწრაფო სტაბილიზაცია და მოიწვიოს ენდოსკოპისტი.
ა) ცოდნა	იცოდეს ბლექ-მორის ზონდის ჩადგმის ჩვენებები.
	ცენტრალური ვენური წნევისა და არტერიული წნევის მონიტორირების ჩვენებები და შეზღუდვები.
	იცოდეს იმ მედიკამენტების ნუსხა, (მათ შორის იშვიათად ხმარებადი), რომლებიც იწვევენ სისხლდენას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.
ბ) უნარ-ჩვევები	ცენტრალური ვენის უსაფრთხო პუნქცია საჭიროების შემთხვევაში.
	სითხის ბალანსის უზრუნველყოფა და სითხეების გადასხმა.
	პაციენტის გადაყვანა ჰეპატოლოგიის განყოფილებაში არაკონტროლირებადი ვისცერული სისხლდენის დროს.
	მკურნალობის გეგმის ჩამოყალიბება მაღალი რისკის მქონე პაციენტებისათვის.
	ფსევდო კრუნჩხვების გამოცნობა და მართვა.
გ) ქცევა	გასტროენტეროლოგისტ და/ან ქირურგის დროული ჩართვა პაციენტის მართვის დროს.
	პრევენციის მნიშვნელობის გაცნობიერება მაღალი რისკის მქონე პაციენტებისათვის, განსაკუთრებით ხანდაზმული, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი და სტეროიდულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისათვის.
14.	თავის ტკივილი რესიდენტს უნდა შეეძლოს იმ პაციენტების შეფასება, რომელთაც აღენიშნებათ თავის ტკივილი, აწარმოოს დიფერენციული დიაგნოსტიკა, ჩამოაყალიბოს პაციენტის მართვის გეგმა და მოახდინოს მისი იმპლემენტაცია.
ა) ცოდნა	იცოდეს ქრონიკული თავის ტკივილის მნიშვნელობა
	იცოდეს წამლით გამოწვეული თავის ტკივილის მიზეზები
	იცოდეს სიცოცხლისათვის საშიში თავის ტკივილის მიზეზები
ბ) უნარ-ჩვევები	თავის ტკივილის მქონე პაციენტის უსაფრთხო მართვის გეგმის შემუშავება
	იცოდეს ის მდგომარეობები, რომლის დროს ლუმბალური პუნქციის ჩატარება საჭიროა თავის კტ სკანირების წინ.
	დაიწყოს თავის ტკივილის მკურნალობა, თუ იგი გამოწვეულია შედარებით იშვიათი ფაქტორებით.
	გაატაროს აქტიური ღონისძიებები სიცოცხლისათვის საშიში თავის ტკივილის მართვის მიზნით.
გ) ქცევა	მიმართოს ექსპერტებს, როდესაც დიაგნოზი არ არის ნათელი და მკურნალობის მიღება რთულია.

	მწვავე თავის ტკივილის დროს მოახდინოს შესაბამისი და სწრაფი გამოკვლევა.
15.	სიყვითლე რესიდენტს უნდა შეეძლოს იმ პაციენტების შეფასება, რომელთაც აღენიშნებათ სიყვითლე, აწარმოოს დიფერენციული დიაგნოზტიკა, ჩამოაყალიბოს პაციენტის მართვის გეგმა და მოახდინოს მისი იმპლემენტაცია
ა)ცოდნა	იცოდეს ღვიძლის ტრანსპლანტაციის ჩვენებები ღვიძლის უკმარისობის და მათ შორის ფულმინანტური ფორმების დროს
	სპეციალური გამოკვლევების – ღვიძლის ბიოფსიის, მრტ, კტ სკანირების და ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფიის ჩვენებები.
	სიყვითლის და ღვიძლის უკმარისობის დროს მედიკამენტების უსაფრთხო გამოწერა.
ბ)უნარ-ჩვევები	სიყვითლის ნაკლებად ცნობილი მიზეზების მართვა. შემდგომი კვლევების შერჩევა და დანიშვნა, როდესაც საწყისი კვლევებით არ არის მიღებული საკმარისი ინფორმაცია
	რთული შემთხვევების კომპლექსური მართვა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა ისეთი შემთხვევების დროს, როგორცაა სეფსისი, მალნუტრიცია, თირკმლის უკმარისობა, კოაგულპათია, სისხლდენა საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან, ალკოჰოლის მოხსნის სინდრომი და ელექტროლიტური დარღვევები.
	მკურნალობისა და მონიტორინგისათვის ადექვატური პირობების უზრუნველყოფა.
გ)ქცევა	გააცნობიეროს სპეციალისტის ადრეული და გადაუდებელი ჩართვა პაციენტის მართვის დროს
	რისკის ფაქტორების მოდიფიცირება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებებისათვის თავის დანებება
16.	კიდურის ტკივილი და შეშუპება რეზიდენტს ექნება შესაძლებლობა შეაფასოს კიდური ტკივილი ან შეშუპება, შეადგინოს დიფ. დიაგნოზი, გამოიკვლიოს სათანადოდ, მოახდინოს მკურნალობის გეგმის ფორმულირება და განახორციელოს იგი.
ა)ცოდნა	გაიხსენოს უნილატერალური და ბილატერალური კიდურის შეშუპების მიზეზები მწვავე და ქრონიკულ შემთხვევებში
	გაიხსენოს კიდურის ტკივილის სხვადასხვა მიზეზები და შეშუპების და თრომბოზის პათოფიზიოლოგიური საფუძველი
	გაიხსენოს თრომბოზის და განვითარების რისკფაქტორები და რისკის შეფასების არსებული თვლადი სქემები
	გაიხსენოს დიურეტიკების და ანტი-კოაგულანტების ჩვენებები, უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები
	მოახდინოს ღრმა ვენების თრომბოზის ხანგრძლივი მართვის ცოდნის დემონსტრირება
ბ)უნარ-ჩვევები	შეასრულოს სრული და სათანადო გასინჯვა, მათ შორის კიდურის ფუნქციონირების და პერფუზიის შეფასება და შეშუპების, ცელულიტის, ვენური თრომბოზის, კომპარტმენტ სინდრომის დიფერენცირება
	გამოიცნოს კომპარტმენტ სინდრომი და კრიტიკული იშემია და მოახდინოს დროული ქმედებები

	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები (სისხლის ლაბ. ანალიზები, დოპლეროგრაფიული კვლევა, შარდში ცილა. მოახდინოს ინტერპრეტაცია და მათზე სათანადო რეაგირება
	დანიშნოს უსაფრთხო საწყისი სათანადო მკურნალობა (ანტიკოაგულაციური თერაპია, ანტიბიოტიკები და ა.შ.)
	დანიშნოს შესაბამისი ანალგეზია
გ)ქცევა	სწრაფად დაუკავშირდეს ქირურგ კოლეგებს ცირკულატორული პრობლემების დროს (მაგ. კომპარტმენტ სინდრომი)
	იცოდეს თრომბოპროფილაქტიკის მნიშვნელობა მაღალ რისკ ჯგუფში
17.	გულის ფრიალი <i>რეზიდენტს ექნება შესაძლებლობა შეაფასოს პაციენტი გულის ფრიალის შეგრძნებით შეადგინოს დიფერენციალური დიაგნოზი, გამოიკვლიოს სათანადოდ, მოახდინოს მკურნალობის გეგმის ფორმულირება და განახორციელოს იგი</i>
ა)ცოდნა	გაიხსენოს ეკგ-ს ინტერპრეტაციისთვის საჭირო გულის ელექტროფიზიოლოგია
	გაიხსენოს გულის ფრიალის გავრცელებული მიზეზები
	გაიხსენოს არითმიის კატეგორიები
	გაიხსენოს არითმოგენული ფაქტორები მათ შორის წამლები
	გაიხსენოს გამოყენებადი ანტიარითმიული წამლების ჩვენებები, უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები
	მოახდინოს AFB-მართვის ცოდნის დემონსტრირება
ბ)ბუნარ-ჩვევები	ახსნას პაციენტის ჩვილების ბუნება
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები: ეკგ, სისხლის ლაბ. ანალიზები. მოახდინოს ინტერპრეტაცია და მათზე სათანადო რეაგირება
	გამოიცნოს და დაიწყოს იმ არითმიების საწყისი მკურნალობა, რომლებსაც პაციენტი ცუდად იტანს (მაგ: გულის გაჩერებასთან დაკავშირებული არითმია)
	უზრუნველყოს პაციენტის სათანადო მონიტორინგი პალატაში
	ახლად წარმოქმნილი არითმიით მოსული პაციენტების მართვა
გ)ქცევა	სწრაფად გაიაროს კონსულტაცია უფროს კოლეგასთან როდესაც საჭიროა მისცეს სათანადო რჩევა ცხოვრების წესთან დაკავშირებით გულის ფრიალის პროფილაქტიკისთვის
18.	მოწამვლა <i>რეზიდენტს ექნება უნარი სწრაფად შეაფასოს პაციენტი გაზრახ და შემთხვევით მოწამვლით, დაიწყოს ურგენტული მკურნალობა, უზრუნველყოს სათანადო მონიტორინგ, იცოდეს ფსიქიატრიული შეფასების მნიშვნელობა თვითდაზიანებისას</i>
ა)ცოდნა	იცოდეს ნაწლავის გამორეცხვის და ნახშირის გამოყენების ჩვენებები
	იცოდეს TOXBASE-ის და საწამლაკვების შესახებ ინფორმაციის შეფასების მნიშვნელობა და გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია
ბ)ბუნარ-ჩვევები	შეაფასოს მოწამლული პაციენტის კრიტიკულობა და მართოს სათანადოდ
	შეაგროვოს სრული ინფორმაცია შემთხვევის შესახებ თუ შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ისტორიებიც
	გასინჯოს პაციენტი მოწავლის ხასიათის და შედეგების დასადგენად
	ჩაატაროს ტოქსინ-სპეციფიური მკურნალობა TOXBASE/NPIS-ის ინფორმაციის

	შესაბამისად
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები (სისხლის ლაბ. ანალიზები, ABG, გლუკოზა, ეკგ და წამლების კონცენტრაცია), მოახდინოს ინტერპრეტაცია და სათანადო რეაგირება:
	უზრუნველყოს მწვავე პერიოდის სათანადო მონიტორინგი
	მოახდინოს მენტალური სტატუსის შეფასება
გ)ქცევა	დაუკავშირდეს ხელმძღვანელს სწრაფად კრიტიკულ შემთხვევებში ან თუ პაციენტი უარს ამბობს მკურნალობაზე
	იცოდეს, რომ პაციენტის მიერ მოწოდებული დეტალები მოწამლის შესახებ შეიძლება იყოს არასწორი
	გამოიჩინოს თანაგრძნობა და მოთმინება იმ პაციენტების შეფასებისას და მკურნალობისას, რომელთაც აქვთ თვითდაზიანება
19.	გამონაყარი <i>რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი კანის მწვავედ დაწყებული გამონაყარით და გავრცელებული კანის პრობლემებით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმას</i>
ა)ცოდნა	გაიხსენოს გავრცელებული კანის დაავადებებისთვის დამახასიათებელი დაზიანებები
	გაიხსენოს ეტიოლოგიის დასადგენად საჭირო ძირითადი გამოკვლევები
	გაიხსენოს სავარაუდო მედიკამენტოზური მკურნალობა
ბ)უნარ-ჩვევები	აიღოს სრულყოფილი, ფოკუსირებული ანამნეზი და ჩაატაროს დეტალური გასინჯვა, მათ შორის ფრჩხილების, სკალპის და ლორწოვანი გარსის რომ დაადგინოს ადექვატური დიაგნოზი
	იცოდეს დეტალური მედიკამენტოზური ანამნეზის მნიშვნელობა
	იცოდეს, რომ ანაფილაქსიამ შეიძლება გამოიწვიოს კანზე გამონაყარი
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები და მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია ეტიოლოგიის დასადგენად
	დაიწყოს აგრესიული მკურნალობა, როდესაც ნაჩვენებია პაციენტის კლინიკური მდგომარეობით და საწყისი გამოკვლევებით
გ)ქცევა	მოახდინოს სიმპათიის და გაგების დემონსტრირება კანის დაავადების კოსმეტიკურ მხარესთან დაკავშირებით ჩართოს პაციენტი მისი მდგომარეობის მართვაში ძირითადად ადგილობრივ მკურნალობასთან მიმართებაში
	დაარწმუნოს პაციენტი ხანგრძლივი პროგნოზის კეთილსაიმედოობაში და ტრანსმისიის არარსებობაში კანის უმეტესი დაავადებების დროს
20.	გულისრევა და ღებინება <i>რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი გულისრევით და ღებინებით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმას</i>
ა)ცოდნა	გაიხსენოს გულისრევის და ღებინების მიზეზები და პათოფიზიოლოგია
	გაიხსენოს გავრცელებული ანტიემეტიკების გამოყენება და გვერდითი მოვლენები და განასხვავოს თითოეული მათგანის ჩვენებები
	გაიხსენოს ნიშნები, რომლებიც ზედა გასტროინტესტინალური სისტემის ავთვისებიან დაავადებაზე მიგვანიშნებს

ბ)უნარ- ჩვევები	გამოიკვლიოს დეჰიდრატაციის ნიშნები და მიიღოს ზომები გასასწორებლად
	გამოიცნოს და უმკურნალოს სავარაუდო ობსტრუქციას სათანადოდ: სითხე PO ან IV, ნაზოგასტრალური ზონდი
	დანიშნოს უსაფრთხო ანტიემეტიკები
	შეუკვეთოს საწყისი გამოკვლევები და მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია და სათანადო რეაგირება: სისხლის ლაბ. ანალიზები, რენტგენი
გ)ქცევა	ჩართოს ქირურგიული ჯგუფი სწრაფად GI ობსტრუქციის შემთხვევაში
21.	სისუსტე და პარალიზი <i>რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი მოტორული სისუსტით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმას</i>
ა)ცოდნა	დეტალურად ერკვეოდეს მოტორული სისტემის ფიზიოლოგიასა და ნეიროანატომიაში გაიხსენოს ნერვის ფესვების, პერიფერიული ნერვების გავრცელება და მყესის რეფლექსები
	გაიხსენოს ზედა და ქვედა მოტონეირონების, ნეირომუსკულარული კავშირის და კუნთოვანი დაზიანების მახასიათებლები
	გაიხსენოს ზემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების გავრცელებული და მნიშვნელოვანი მიზეზები
	გაიხსენოს ინსულტის ზამფორდის კლასიფიკაცია და მისი როლი პროგნოზში
	იცოდეს კლინიკური სურათისას ჩასატარებელი კვლევები, მათ შორის თავის ტვინის CT კვლევის ჩვენებები
ბ)უნარ- ჩვევები	ახსნას ნევროლოგიური დისფუნქციის დაწყების სისწრაფე და რისკფაქტორები
	ჩაატაროს სრული გამოკვლევა სისტემური დაავადების და ნევროლოგიური დისფუნქციის დასადგენად და განსაზღვროს ასოცირებული ნეიროდეფიციტი
	შეუკვეთოს მოტორული სისუსტის საწყისი გამოკვლევები და მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია და სათანადო რეაგირება
	გამოიცნოს როდის არ არის ყლაპვა უსაფრთხო და მართოს სათანადოდ
	გამოავლინოს ზურგის ტვინის დაზიანება და გამოიკვლიოს დროულად
	ჩაატაროს რესპირატორული ფუნქციის ტესტები და მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელს
	უზრუნველყოს სათანადო ზრუნვა: თრომბოპროფილაქტიკა, ნაწოლების მოვლა
გ)ქცევა	იცოდეს მწვავე მოტორული სისუსტით წარმოდგენილი პაციენტების დროული შეფასების და მკურნალობის მნიშვნელობა
	თუ შესაძლებელია გაიაროს კონსულტაცია ხელმძღვანელთან და ინსულტის ჯგუფთან
	გაანალიზოს პაციენტის და მზრუნველის სტრესი, როდესაც ვითარდება აქტიური მოტორული სისუსტე
	გაიაროს კუნსულტაცია ხელმძღვანელთან, როდესაც სწრაფად პროგრესირებადი მოტორული სისუსტე ან დაქვეითებული ცნობიერებაა
	ჩართოს ლოგოპედი სათანადო შემთხვევებში გამოიყენოს მულტიდისციპლინარული მიდგომა
22.	პაციენტების მართვა, რომლებიც საჭიროებენ პალიატიურ მზურვალობას და

	ტერმინალურ მდგომარეობაში.
ა)მიზანი	რესიდენტს უნდა შეეძლოს მუშაობა მულტიდისციპლინალურ გუნდში, იმ პაციენტების მართვის დროს, რომლებიც საჭიროებენ პალიატიურ მკურნალობას და მდგომარეობის მართვას ტერმინალურ პერიოდში. შეეძლოს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების სიკვდილის ფაზის განსაზღვრა, შეაფასოს და მართოს მომაკვდავი პაციენტები და შეეძლოს ურთიერთობა პაციენტის ოჯახის წევრებთან.
ბ)ცოდნა	იცოდეს შესაბამისი მკურნალობის ასპექტები, როგორცაა პალიატიური მედიცინა, საზოგადოებრივი სერვისების გამოყენება, ნუტრიციოლოგია, ტკივილის შემსუბუქება, სიკვდილის ფსიქოლოგია.
	იცოდეს დაავადების სხვადასხვა გამოვლინებები, პროგნოზული ინდიკატორები და პაციენტის სიკვდილის ნიშნები.
	გაითვალისწინოს კულტურული და რელიგიური ასპექტები მომაკვდავ პაციენტთან მიმართებაში.
	იცოდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.
	იცოდეს კორონერის როლი და მისი ჩართვა საჭიროებისამებრ.
გ)უნარ-ჩვევები	შეეძლოს ტკივილის ეფექტური მოხსნა, სიმპტომების კონტროლი (მათ შორის აჟიტაციის, ჭარბი რესპირაციული სეკრეციის, გულისრევის და ლებინების, ჰაერის უკმარისობის), პაციენტის სულიერი და ფსიქოლოგიური მართვა.
	პატივისცემით მოპყრობა პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან, აუხსნას მათ მკურნალობის სარგებელი და შეზღუდვები და შესაბამისი მართვის გეგმის შემუშავება.
	შეეძლოს განიხილოს კარდიოპულმონური რეანიმაციის ასპექტები პაციენტთან, მის ოჯახთან, კოლეგებთან პაციენტების ინტერესების გათვალისწინებით.
	პაციენტის სიკვდილის შემთხვევაში აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
დ)ქცევა	მოუხმოს შესაბამის სპეციალიტებს, როდესაც გააცნობიერებს, რომ პაციენტის მდგომარეობა კომპლექსურია.

მმუხლი 31. სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები

1.	წარმონაქმნი მუცელში, ჰეპატოსპლენომეგალია <i>რეზიდენტს ეწება უნარი შეაფასოს პაციენტი მუცელში წარმონაქმნით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმას</i>
ა)ცოდნა	გაიხსენოს სხვადასხვა ტიპის აბდომინური მასა მათი ეტიოლოგიის, მდებარეობის და კლინიკური მახასიათებლის მიხედვით (მაგ. მიტოზური, ანთებითი)
	გაიხსენოს კლინიკური ნიშნების შესაბამისი გამოკვლევები: რადიოლოგიური, ქირურგიული, ენდოსკოპიური
	გაიხსენოს ჰეპატომეგალიის და სპლენომეგალიის მიზეზები
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლინოს აბდომინურ მასასთან, ჰეპატომეგალიასთან და სპლენომეგალიასთან ასოცირებული სიმპტომები და რისკფაქტორები
	გამოავლინოს და მოახდინოს მასასთან დაკავშირებული მნიშვნ. კლინიკ. ნიშნები, რომ დაადგინოს მისი სავარაუდო ბუნება

	შეუკვეთოს გამოკვლევები და მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია მათ შორის რადიოლოგიური და სისხლის ანალიზები
გ)ქცევა	გაანალიზოს პაციენტის შემფოთება, როდესაც ადგილი აქვს მუცელში წარმონაქმნის აღმოჩენას
	მიიღოს მონაწილეობა მულტიდისციპლინარულ გუნდურ მიდგომაში
2.	<i>ასციტი და გაუვალობა</i> <i>რეზიდენტს ექნება უნარი შეაფასოს პაციენტი მუცელში სითხით ან დაჭიმულობით, შეადგენს კომპენტენტურ დიფერენციალურ დიაგნოზს, გამოიკვლევს სათანადოდ, შეადგენს და განახორციელებს მკურნალობის გეგმას</i>
ა)ცოდნა	გაიხსენოს ასციტის მიზეზები და მათთან ასოცირებული კლინიკური ნიშნები
	გაიხსენოს გაუვალობის ხშირი მიზეზები, მათ შორის წამლებიც
	გაიხსენოს ასციტის, ილევუსის და ნაწლავის ობსტრუქციის პათოფიზიოლოგია
	გაიხსენოს ასციტის დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი საფეხურები, მათ შორის კლინიკური ნიშნები, ლაბ. ანალიზები, რადიოლოგიური მონაცემები; სპონტანური ბაქტერიული პერიტონიტის და სიმსივნის დიაგნოსტიკა
	გაიხსენოს გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც კოლორექტალურ სიმსივნეზე მიუთითებენ
	გაიხსენოს საფადარათო საშუალებების მოქმედების მექანიზმები
ბ)უნარ-ჩვევები	გასინჯოს პაციენტი, რომ დადგინდეს მუცელში სითხის ბუნება, მათ შორის რექტალური გამოკვლევა და გამოავლინოს ნიშნები, რომელიც შეიძლება ახლდეს ასციტს, ნაწლავის ობსტრუქციას და შეკრულობას
	მათი ინტერპრეტაცია
	ჩაატაროს უსაფრთხო დიაგნოსტიკური ან თერაპიული დრენირება ასეპტიკური ტექნიკით და მინიმალური დისკომფორტით პაციენტისთვის
	მოახდინოს ასციტური სითხის ანალიზის ინტერპრეტაცია
	დაიწყოს საწყისი მკურნალობა ასციტური სითხის ტიპის შესაბამისად
გ)ქცევა	გაანალიზოს შეკრულობის მულტიფაქტორული ბუნება, განსაკუთრებით მოხუცებში
	გაანალიზოს მულტიდისციპლინარული მიდგომის მნიშვნელობა
	დაგეგმოს მიმართვა შესაბამის მულტიდისციპლინარულ ჯგუფთან თუ სიმსივნე დიაგნოსტიკა
	ითანამშრომლოს პალიატიურ სამსახურთან თუ საჭიროა
	უპასუხოს კეთილგანწყობით და ემპათიით პაციენტს და ახლობლებს, როდესაც სიმსივნე დიაგნოსტიკდება
3.	პათოლოგიური მგრძნობელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
ა)ცოდნა	დეტალურად ერკვეოდეს სენსორული სისტემის ფიზიოლოგიასა და ნეიროანატომიაში
	გაიხსენოს პერიფერიული ნერვების და ნერვული დაბოლოებების დერმატოტომიური გავრცელება
	ჩამოთვალოს პათოლოგიური მგრძნობელობის გავრცელებული და მნიშვნელოვანი მიზეზები და ნერვული სისტემის დაზიანების სავარაუდო ლოკალიზაცია
	ჩაატაროს ნეიროპათიური ტკივილის სიპტომური მკურნალობა
	ერკვეოდეს სასწრაფო თავის ტვინის CT-ის ჩვენებებში

	იცნობდეს უფრო მეტად სპეციალიზებულ კვლევებს: ნეიროიმიჯინგს, ნეიროპათიის სკრინინგ-ტესტებს, ნეიროფიზიოლოგიურ კვლევებს
ბ) უნარ-ჩვევები	შეკრიბოს სრული ანამნეზი მათ შორის იფორმაცია ცხოვრების წესზე, წამლებზე, ტრამვაზე
	ჩაატაროს სრულყოფილი გასინჯვა რომელიც მოიცავს მგრძობელობის ყველა სახეს რომ გამოავლინოს ნერვული სისტემის დისფუნქციის ნიშნები
	აღწეროს დაზიანების სავარაუდო ადგილი: ცენტრალური, ფესვი, მორნონეიროპათია თუ პოლინეიროპათია
	გამოავლინოს ზურგის ტვინის ან რაშის კუდის კომპრესია და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება
გ) ქცევა	გაიაზროს რა სტრესი შეიძლება ახლდეს ქრონიკულ პარესთეზიას
	გაიაროს კონსულტაცია ხელმძღვანელთან და ინსულტის ჯგუფთან თუ შესაძლებელია
	გამოიყენოს მულტიდისციპლინარული მიდგომა
4.	აგრესიული/პათოლოგიური ქცევა <i>რეზიდენტს ექნება უნარი წინასწარ განჭვრიტოს აგრესიული და პათოლოგიური ქცევა და მოახდინოს მისი პრევენცია მსუბუქი ტრანკვილიზატორების და ფიზიკური ინტერვენციის გამოყენებით. გამოიკვლიოს სათანადოდ და ითანამშრომლოს მენტალური ჯანმრთელობის ჯგუფთან</i>
ა) ცოდნა	იცოდეს ფაქტორები, რის მიხედვითაც შეიძლება წინასწარ განსჭვრიტო აგრესიული ქცევა: ანამნეზი, ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერებათა ჭარბად მოხმარება, დელირიუმი
	გაიხსენოს მწვავე ფსიქოზის განსაზღვება და მისი ძირითადი თვისებები და მიზეზები
	წარმოდგენა ჰქონდეს აგრესიული და ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის შემთხვევაში სამედიცინო ჩარევის იურიდიულ ასპექტებზე
ბ) უნარ-ჩვევები	შეუქმნას ქცევითი აშლილობის მქონე პაციენტს მოვლის სათანადო პირობები
	უზრუნველყოს ჯგუფის წევრების და პაციენტისთვის აუცილებელი მხარდაჭერა შესაბამისი დიფერენციული დიაგნოზის გატარებისთვის მოახდინოს პაციენტის სრულფასოვანი შეფასება, მათ შორის მისი მენტალური სტატუსის
	შემდგომად ჩაატაროს სათანადო პირველადი გამოკვლევები და მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია
	ფლობდეს უსაფრთხო სწრაფი სედაციის მეთოდებს ეროვნული გაიდლაინების მიხედვით
	შესძლოს მოსალოდნელი აგრესიული ქცევის დროული ამოცნობა
	უზრუნველყოს სედაციის ქვეშ მყოფი პაციენტის მდგომარეობის სათანადო მონიტორინგი
გ) ქცევა	დროულად ჩართოს უფროსი კოლეგები და მენტალური ჯანმრთელობის გუნდის წევრები
	აგრესიული ქცევის მართვისას იმოქმედოს ეროვნული გაიდლაინის მიხედვით
5.	ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება კურსის ბოლოს რეზიდენტი შესძლებს ნარკოდამოკიდებულების მქონე პირის შეფასებას და მისი სათანადო მართვის დაგეგმარებას

ა) ცოდნა	გაიხსენებს მოხსნის სინდრომის პათოფიზიოლოგიას
	გაიხსენებს ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების სამედიცინო, ფსიქიატრიულ და სოციო-ეკონომიურ შედეგებს
	გაიხსენებს მალნუტრუციის სიმპტომების მკურნალობას (მათ შორის ვიტამინების და მინერალების ჩანაცვლებას)
	გაიხსენებს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოქმედებას
	გაიხსენებს დეტოქსიფიკაციისთვის საჭირო სედაციის სხვადასვა მეთოდს
ბ) უნარ-ჩვევები	შესძლებს დეტალური სამედიცინო და ფსიქიატრიული ანამნეზის შეკრებას, რათა დაადგინოს ფსიქიატრიული, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულების არსებობა
	შესძლებს პაციენტის გასინჯვას ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასთან ასოცირებული ნიშნების გამოსავლენად
	შესძლებს კოლატერალური ისტორიის შეკრებას
	შესძლებს ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პაციენტის გამოკვლევის დაწყებას
	დაეუფლება მოხსნის სინდრომის სამკურნალოდ სედაციური საშუალებების უსაფრთხო წესით დანიშვნას
	შესძლებს სხვა დაავადებების (როგორცაა ღვიძლის დაზიანებები, მალნუტრიცია, ვერნიკეს ენცეფალოპათია) გამოვლენას და შესაბამის სპეციალისტთან გადამისამარეთება
გ) ქცევა	გამოიცნობს აგრესიული ქცევის მქონე პაციენტს და სათანადოდ მართოს ვითარება
	მიმართავს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს: გასტროენტეროლოგს, ინტენსიური ბლოკის ექიმს, ფსიქიატრს
6.	შფოთვითი/პანიკური აშლილობა რეზიდენტი შესძლებს შფოთვითი აშლილობის ნიშნების მქონე პაციენტის შეფასებას და სათანადო გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩასატარებლად საჭირო დიფერენციული დიაგნოზის გატარებას
ა) ცოდნა	გაიხსენებს შფოთვითი აშლილობის ძირითად ნიშნებს
	დაეუფლება შფოთვითი აშლილობის მართვის ეროვნულ გაიდლაინებს
	გაარჩევს შფოთვითი დაავადებების ძირითად კატეგორიებს: პანიკურს, გენერალიზირებულს, სტრესთან ასოცირებულსა და ფობიებს
	შეიცნობს შფოთვის სიმპტომების გამოვლენაში დეპრესიის როლს
	შეიცნობს დაავადების გამოვლენის თავისებურებებს მოხუცებულებში
	გაიხსენებს იმ ორგანულ დარღვევებსა და მედიკამენტებს, რომლებსაც შფოთვითი აშლილობის ზოგიერთი ნიშანი აქვთ
	წარმოდგენა ექნება შფოთვითი დაავადების მკურნალობის ზოგად პრინციპებზე
ბ) უნარ-ჩვევები	შესძლებს პაციენტის შეფასებას ორგანული დაზიანების გამოვლენის მიზნით
	შფოთვითი დაავადებების ეროვნული გაიდლაინის მიხედვით შესძლებს პაციენტის მენტალური სტატუსის შეფასებას გაატარებს დიფ დიაგნოზს
გ) ქცევა	ამოიცნობს შფოთვითი აშლილობის სიმპტომების ხანდაზმულობას და მათთან დაკავშირებულ ქმედითუნარიანობის დაქვეითებას
7.	სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა

	რეზიდენტი შესძლებს სისხლჩაქცევებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და პაციენტის მართვის სწორ დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს სპონტანური სისხლჩაქცევების წარმოქმნის მიზეზებს
	ეცოდინება კოაგულაციის სხვადასხვა დარღვევის ყველაზე გავრცელებული კლინიკური ნიშნები
	ეცოდინება თრომბოციტოპენიასთან დაკავშირებული სისხლდენის თავისებურებების შესახებ
	ეცოდინება სასწრაფო გამოკვლევების და სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის შესახებ
	გაარჩევს ჰემატოლოგიური დარღვევებით გამოწვეულ სისხლდენის ნიშნებს მედიკენტებით გამოწვეული სისხლდენის ნიშნებისაგან
ბ)უნარ-ჩვევები	ჩაატარებს სათანადო პირველად გამოკვლევებს, როგორცაა სისხლის ანალიზები, რენტგენოგრამები და მიკრობიოლოგიური კვლევები და შესძლებს მათ ინტერპრეტაციას
	უფროს კოლეგებისგან მიიღებს კონსულტაციას
გ)ქცევა	ეცოდინება მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობის შესახებ
	გაითვალისწინებს სისხლის სერიოზული პათოლოგიის შესაძლო დიაგნოზით გამოწვეულ პაციენტის ღელვას
	მიმართავს უფროსი კოლეგების კონსულტაციას, იმ შემთხვევაში თუ სისხლჩაქცევა კრიტიკული დაავადების ერთერთი ნიშანია
	ემახსოვრება, რომ სისხლჩაქცევა ტრამვის ერთერთი ნიშანია და ხშირად გვხვდება მოხუცებულებში
	გამოიცნობს სპონტანურ სისხლჩაქცევების შესაძლო მიზეზებს მათი ლოკალიზაციის, პაციენტის ასაკის, ანამნეზური მონაცემების და მიღებული მედიკამენტების გათვალისწინებით
	შესაძლო დიაგნოზის გათვალისწინებით ჩაატარებს საწყის ეტაპზე აუცილებელ გამოკვლევებს
8.	დისპეფსია რეზიდენტი შესძლებს გულმმარვით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	განსაზღვრავს დისპეფსიას და გაიხსენებს მის გამომწვევ ძირითად მიზეზებს, მათ შორის ცხოვრების წესს
	ეროვნული გაიდლაინების გათვალისწინებით გაიხსენებს ენდოსკოპიის ჩატარების ჩვენებას
	გაიხსენებს მჟავის გამოყოფის დამთრგუნველი და ლორწოვანი გარსის დამცველი პრეპარატების ჩვენებებს, უკუჩვენებებს და გვერდით მოქმედებებს
	გაიხსენებს ჰელიკობაქტერიის მნიშვნელობას და მისი გამოვლენისა და მკურნალობის მეთოდებს
	გაიხსენებს ზედა გასტროინტესტინალური ტრაქტის ავთვისებიანი სიმსვენების პირველ სიმპტომებს
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლენს იმ სიმპტომებს, რაც გადაუდებელი ენდოსკოპიის ჩატარების ჩვენებას წარმოადგენს და მოიწვევს სათანადო კონსულტანტებს

	გაატარებს სათანადო გამოკვლევებს: ჰელიკობაქტერიის არსებობაზე ტესტირება, ენდოსკოპია
	შედლოს, განასხვავოს პეპტიურ წყლულთან ასოცირებული დისპეპსია გასტროეზოფაგალური რეფლუქსისგან
	ჩაატარებს მუცლის ღრუს ფიზიკალური გამოკვლევას მუცლის ღრუში მასის არსებობაზე ყურადღების მიპყრობით
გ)ქცევა	სიმპტომების გამწვავების შემთხვევაში დაფიქრდება წინა ენდოსკოპიური კვლევის შედეგების შესახებ
9.	დიზურია რეზიდენტი შესძლებს დიზურიით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს შარდსასქესო სისტემის ანატომიას
	ეცოდინება ქალებსა და მამაკაცებში დიზურიის მიზეზების შესახებ
	წარმოდგენა ექნება ურეთრიტის პათოფიზიოლოგიისა და კლინიკის შესახებ
	წარმოდგენა ექნება დიზურიის მკურნალობის პრინციპების შესახებ
	წარმოდგენა ექნება საშარდე გზების რეკურენტული ინფექციის პრევენციული ზომების შესახებ
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს დეტალური ანამნეზის შეკრებას, მათ შორის სქესობრივი ცხოვრების შესახებ
	დაიწყებს საჭიროებისამებრ შესაბამის მკურნალობას
	ჩაატარებს სათანადო საწყის გამოკვლევებს და მოახდენს მათ ინტერპრეტაციას
	გამოიყენებს ადგილობრივი მიკრობიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მკურნალობის დაწყებისას
გ)ქცევა	საჭიროებისამებრ ჩართავს შარდსასქესო სისტემის/თირკმლის დაავადებების სპეციალისტს
	მონაწილეობას მიიღებს ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრების პროპაგანდაში
	საჭიროებისამებრ დიზურიის მქონე პაციენტის მართვისას გამოიყენებს მიკრობიოლოგიურ რესურსებს
10.	ჰემატურია რეზიდენტი შესძლებს ჰემატურიით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს საშარდე გზების ანატომიას
	წარმოდგენა ექნება მიკროსკოპული და მაკროსკოპული ჰემატურიის მიზეზების შესახებ
	განსაზღვრავს გლომერულის დაზიანების ალბათობას და ნეფროლოგის ჩართვის აუცილებლობას
ბ)უნარ-ჩვევები	ჩაატარებს დეტალურ ფიზიკალურ გამოკვლევას, მათ შორის რექტალურ გასინჯვას
	შეაფასებს, თუ როდის სჭირდება პაციენტს უროლოგიური გამოკვლევა
	ჩაატარებს პირველად გამოკვლევებს, როგორცაა შარდის ბატქროლოგია, ციტოლოგია და მიკროსკოპია, სისხლის ანლიზები და მოახდენს მათ

	ინტერპრეტაციას
ბ)ქცევა	სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტის არსებობაზე ექვსის შემთხვევაში ჩართავს ნეფროლოგიური განყოფილების სპეციალისტებს
11.	ჰემოპტიზი რეზიდენტი შესძლებს ჰემოპტიზით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გამოიცნობს ჰემოპტიზის პირველად სიმპტომებს
	გამოიცნობს ჰემოპტიზის როგორც ფართედ გავრცელებულ, ასევე სიცოცხლისათვის საშიშ მიზეზებს: ბრონქიექტაზიას, ტუბერკულოზურ პნევმონიას, ფილტვის ემბოლიას და კარცინომას
	წარმოდგენა ექნება ჰემოპტიზის არარესპირატორული მიზეზების შესახებ
	ეცოდინება მკურნალობის საწყისი ეტაპები, როგორცაა ოქსიგენოთერაპია და სითხის გადასხმა ასევე განსაზღვროს ინტერვენციული რადიოლოგიისა და ქირურგიული ჩარევის ჩვენებები.
ბ)უნარ-ჩვევები	შეკრებს დეტალურ ანამნეზს და ჩაატარებს სრულ ფიზიკალურ გამოკვლევას სათანადო დიფერენციული დიაგნოზის გატარების მიზნით
	ჩაატარებს საწყის გამოკვლევებს, როგორცაა სსა, კოაგულოგრამა, გულმკერდის რენტგენოგრამა, ბრონქოსკოპია, ეკგ, ნახველის ანალიზი და მოახდენს მათ ინტერპრეტაციას.
	დაიწყებს მკურნალობას, მათ შორის განსაზღვრავს ანტიკოაგულანტების დაწყება/შეწყვეტისა და ანტიბიოტიკების დანიშვნის საკითხს ძირითადი სარეანიმაციო ღონისძიებების გატარება ABC სისტემის მიხედვით.
ბ)ქცევა	მოიწვევს უფროსს კოლეგებსა და პულმონოლოგებს საჭიროებისამებრ
12.	თავის ტრავმა რეზიდენტი შესძლებს თავის ტკივილით შემოსული პაციენტის შეფასებას, სტაბილიზებას, დატოვოს სტაციონარში თუ საჭიროა, დაუკავშირდეს სათანადო კოლეგებს, როგორც ამას ითხოვს ეროვნული და ლოკალური გაიდლაინები.
ა)ცოდნა	გაიხსენებს ტვინის შერყევის პათოფიზიოლოგიას
	წარმოდგენა ექნება შესაძლო სიმპტომების შესახებ
	გაიხსენებს გლაზგოს კომის შკალას
	გაიხსენებს თავის ტრამვის შემთხვევაში სტაციონარიზაციის ჩვენებებს
	გაიხსენებს სასწრაფო CT კვლევის ჩვენებებს ეროვნული გაიდლაინების მიხედვით
	გაიხსენებს თავის ტრამვის მოკლევადიან გართულებებს
ბ)უნარ-ჩვევები	დაიწყებს სათანადო მართვას: ABC, კისრის ძალების დაცვას
	შეაფასებს პაციენტს გლაზგოს კომის შკალის მიხედვით
	შეკრებს დეტალურ ანამნეზს და ჩაატარებს სრულ ფიზიკალურ გამოკვლევას, რათა გამოავლინოს თავის ტრამვის ნიშნები და ფოკალური ნეფროლოგიური დეფიციტი
	საჭიროებისამებრ, უფროსი კოლეგების დახმარებით, მოახდენს მოკლევადიანი გართულებების მართვას, როგორცაა კრუნჩხვები, სასუნთქი გზების დაზიანება
	ექთნებს მიუთითებს საკონტროლო ვიზიტების სიხშირესა და სახეობას

გ)ქცევა	იმოქმედებს ეროვნული გაიდლაინების მიხედვით
	ცნობიერების დონის გაუარესების შემთხვევაში მიმართავს უფროსი კოლეგების და ანესთეზიოლოგების დახმარებას
	მიმართავს ნეიროქირურგებს თავის კტ კვლევით გამოვლენილი სტრუქტურული დაზიანებების შემთხვევაში
	სახლში გაწერისას მისცემს პაციენტის განმეორებითი სამედიცინო შემოწმების რეკომენდაციას
	პაციენტის გადაყვანისას მესამე რიგის ჰოსპიტალში უზრუნველყოფს მის უსაფრთხო გადაყვანას
13.	ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი რეზიდენტი შესძლებს ხმის ჩახლეჩვითა და სტრიდორით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	შესძლებს ხმის ჩახლეჩვის მექანიზმის ახსნას
	შესძლებს სტრიდორის მექანიზმის ახსნას
	ჩამოთვლის ხმის ჩახლეჩვისა და სტრიდორის ყველაზე გავრცელებულ და საშიშ მიზეზებს
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს ხმის ჩახლეჩვის, სტრიდორის და მსტვენავი სუნთქვის გარჩევას ერთმანეთისგან
	შეაფასებს მდგომარეობის სიმძიმეს: ციანოზს, სუნთქვის სიხშირეს და სუნთქვით გადაძაბვას
	ჩაატარებს სრულ ფიზიკალურ გამოკვლევას და გამოავლენს სტრიდორისა და ხმის ჩახლეჩვის თანმხლებ სიმპტომებს: ხარისებურ ხველას, ჰორნერის სინდრომს, ლიმფადენოპათიას, ფარისებრი ჯირკვლის გადიდებას, ცხელებას
	ჩაატარებს პირველად გამოკვლევებს, როგორცაა სისხლის ანალიზები, ABG, გულმკერდის რენტგენოგრაფია, სპირომეტრია
გ)ქცევა	მიმართავს უფროსი კოლეგებისა და ანესთეზიოლოგების დახმარებას სასუნთქი გზების მნიშვნელოვანი დაზიანების შემთხვევაში
	მიმართავს სათანადო დარგის სპეციალისტებს
14	ჰიპოთერმია რეზიდენტი შესძლებს ჰიპოთერმიით შემოსული პაციენტის შეფასებას, მიზეზის დადგენას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	განსაზღვრავს ჰიპოთერმიას და მის დიაგნოსტიკას
	გაიხსენებს ჰიპოთერმიით გამოწვეულ გადახრებს, მაგ. ეკგ-ზე, სისხლის ანალიზში და ა.შ
	გაიხსენებს ჰიპოთერმიის გამომწვევ მიზეზებს
	გაიხსენებს ჰიპოთერმიის პირველად მართვას
	გაიხსენებს ჰიპოთერმიის გართულებებს
ბ)უნარ-ჩვევები	გამოიყენებს ჰიპოთერმიის გადაუდებელი მართვის მეთოდებს ALS მიხედვით
	მოახდენს ჰიპოთერმიის ხელშემწყობი მიზეზების კორექტირებას
	მოითხოვს პაციენტის სათანადო მონიტორინგს
გ)ქცევა	გამოიცნობს მოხუცებულებში ჰიპოთერმიის მულტიფაქტორულ მიზეზებს

	და წარმოდგენა ექნება მათი პრევენციის მეთოდებზე
	გაითვალისწინებს ჰიპოთერმიით მიყენებულ სერიოზულ ზიანს და ეცდება პაციენტის სწრაფ გათბობას
	ეცოდინება, რომ სიკვდილის დადასტურება მხოლოდ გათბობის შემდეგ არის შესაძლებელი
15.	მოძრაობის შეზღუდვა რეზიდენტი შესძლებს მოძრაობის შეზღუდვით შემოსული პაციენტის შეფასებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს მოძრაობის შეზღუდვის რისკ ფაქტორებსა და მიზეზებს განსაზღვრავს მულტიდისციპლინური გუნდის როლს განსაზღვრავს რეაბილიტაციის მთავარ პრინციპებს
	გაიხსენებს მოძრაობის შეზღუდვის იმ მდგომარეობებს, რომელთა გამოსწორებაც რეაბილიტაციის, ან მკურნალობის გზით შეიძლება
ბ)უნარ-ჩვევები	შეკრებს დეტალურ ანამნეზს მომვლელების, ოჯახის წევრებისა და ოჯახის ექიმისაგან გასინჯვისა და შეფასების შემდეგ ჩამოთვლის პრობლემურ საითხებს, ასეთი პაციენტების მართვისას ითამაშებს მნიშვნელოვან როლს მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად ჩამოაყალიბებს პაციენტის მართვის სათანადო გეგმას, მათ შორის მედიკამენტურ მკურნალობას, რეაბილიტაციასა და მიზნების განსაზღვრას გაარკვევს იმ მიზეზებს, რაც ასეთი პაციენტის სტაციონარში მოხვედრას იწვევს დიფერენციული დიაგნოზის გატარების მიზნით შესძლებს სათანადო საწყისი გამოკვლევების ჩატარებას და მათ ინტერპრეტაციას შესძლებს გონებრივი სტატუსის შეფასებას
გ)ქცევა	გაითვალისწინებს მულტიდისციპლინარულ მიდგომის და, საჭიროებისამებრ, სპეციალისტების კონსულტაციის აუცილობლობას შესძლებს პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან და მომვლელებთან გეგმების განხილვას გაითვალისწინებს იმ უსიამოვნებას და სტრესს, რასაც დაავადება და/ან სტაციონარში მოხვედრა აყენებს პაციენტებს, მათი ოჯახის წევრებს და მომვლელებს
16.	შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები
ა)ცოდნა	გაიხსენებს პაციენტის გასინჯვისას, ან გამოკვლევისას გამოვლენილ უსიმპტომო დარღვევებს, რასაც შესაძლოა დამატებითი გამოკვლევები მოჰყვეს. ეს დარღვევებია: პათოლოგიური რენტგენოგრამები, კტ და მრტ, ავთვისებიანი და აქსელირებული ჰიპერტენზია, გადახრები სისხლის ანალიზებში (ანემია, კალციუმის, შარდოვანას, ელექტროლიტების ცვლის დარღვევა, სსა, კოაგულოგრამა); პროტეინურია, მიკროსკოპული ჰემატურია, პათოლოგიური ეკგ, ანომალური ექოსკოპიური მაჩვენებლები, წამალთა ურთერთქმედება ან გვერდითი მოვლენები, უცნობი წარმომავლობის მასები, კანის დარღვევები, ლიმფადენოპათია
	წარმოდგენა ექნება იმ შედარებით უსიმპტომოდ მიმდინარე პროცესების შესახებ, რომლებიც მოითხოვს დაუყოვნებლივ შეფასებას და მართვას, როგორცაა მაგ. პირველადი, ან მეორადი ავთვისებიანი სიმსივნეები

	შესძლებს შემთხვევით გამოვლენილი ნორმიდან გადახრების შეფასებას, როგორც კლინიკურად არამნიშვნელოვანს
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლენს ზემოთ ხსენებულ ნიშნებს და ჩასვმას მათ კონკრეტული პაციენტის კონტექსტში
	შესძლებს იმის შეფასებას, თუ რამდენად აუცილებელია დარღვევის დაუყოვნებლივი შესწავლა ამბულატორიულად ან და ოჯახის ექიმის მიერ იქნება
	თითოეულ შემთხვევაში ჩამოაყალიბებს მართვის შესაბამის სქემას
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და შესძლებს მათ ინტერპრეტაციას
	შესძლებს გავრცელებული მეტაბოლური დარღვევების სწორ მართვას (ჰიპერ და ჰიპოკალემია, ჰიპერ და ჰიპონატრემია)
	მიაწვდის პაციენტს ინფორმაციას გამოვლენილი დარღვევის შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე
გ)ქცევა	მიაწოდებს ინფორმაციას არაურგენტული შეთხვევების შესახებ შემდგომი კვლევისთვის ოჯახის ექიმს ან/და სპეციალისტს მოკლე და ამომწურავი სახით
	შესძლებს მნიშვნელოვანი დაავადების გამოცნობას არასპეციფიური ნიშნების საფუძველზე
	საჭიროებისამებრ მიმართავს სპეციალისტებს კონსულტაციისთვის
17.	უნებლიე მოძრაობები რეზიდენტი შესძლებს უნებლიე მოძრაობებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	პარკინსონიზმსა და ტრემორს შორის გაატარებს დიფერენციულ დიაგნოზს, წარმოდგენა ექნება მიოკლონუსსა და ნაკლებად გავრცელებული მოძრაობის დარღვევების შესახებ
	გაიხსენებს მოძრაობის დარღვევების სამკურნალოდ გამოყენებულ პრეპარატთა ძირითად ჯგუფებს
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს პაციენტის სრულფასოვანი გასინჯვის ჩატარებას, მათ შორის ნევროლოგიური სტატუსის შემოწმებას
გ)ქცევა	გამოხატავს მოძრაობის დარღვევების მქონე პაციენტების და მათი ახლობლების მიმართ თანაგრძნობას, გაითვალისწინებს რა ამ დარღვევების ნეგატიურ ზეგავლენას მათი ცხოვრების ხარისხზე
	გაითვალისწინებს მასაჟისტების როლს ამ პაციენტების მოძრაობისა და ფუნქციონირების აღდგენაში
18.	სახსრების შეშუპება რეზიდენტი შესძლებს სახსრების შეშუპებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს სხვადასხვა ტიპის სახსრის ანატომიას
	ერთმანეთისგან განასხვავებს მონო, ოლიგო და პოლიართრიტს და გაიხსენებს თითოეულის გამომწვევ მიზეზებს
	გაიხსენებს თანადართული დაავადებების მნიშვნელობას სახსრების შეშუპებისას
	გაიხსენებს მწვ. ართრიტის მკურნალობის მეთოდებს: მაგ. NSAID -ები, სტეროიდებს, ფიზიოთერაპიას და ა.შ

ბუნარ-ჩვევები	გაითვალისწინებს დიაგნოზის დასმისთვის დეტალური ანამნეზის შეკრების მნიშვნელობას
	შესძლებს ძვალსახროვანი სისტემის სრულფასოვანი ფიზიკალური გამოკვლევის ჩატარებას
	გამოავლენს სახსროვანი პათოლოგიის სახსარგარეთა ნიშნებს
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და მოახდენს მათ სწორ ინტერპრეტაციას: სისხლის ანალიზები, რენტგენოგრამა, სახსრის პუნქტატი, ბაქტერიული ანალიზი
	ჩაატარებს მუხლის სახსრის ასპირაციას, ასეპტიურ პირობებში, პაციენტისთვის მინიმალური დისკომფორტის მიყენებებით
	შემდგომად შეშუპებული სახსრების რენტგენოგრამების ზოგად ინტერპრეტაციას
	დაეუფლება სახსრების დაზიანების შემთხვევაში ანალგეტიკებისა და არასტეროიდების უსაფრთხო დანიშვნას
	წარმოდგენა ექნება მეორე რიგის პრეპარატების და მათი გართულებების შესახებ
გქცევა	გაითვალისწინებს, რომ მონოართიტის შემთხვევაში რეკომენდირებულია სახსრის დროული ასპირაცია, სეპტიური ართრიტის გამორიცხვის მიზნით
	განსაღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც სეპტიური ართრიტი ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს
	გაითვალისწინებს მულტიდისციპლინური მიდგომის აუცილებლობას: ორტოპედიური ქირურგია, ფიზიოთერაპია, სოციულური სამსახური
19.	ლიმფადენოპათია რეზიდენტი შესძლებს ლიმფადენოპათიით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს ლიმფური სისტემის ანატომიასა და ფიზიოლოგიას
	გაიხსენებს გენერალიზირებული ლიმფადენოპათიის მიზეზებს: ინფექციურს, ავთვისებიანს, რეაქტიულსა და ინფილტრაციულს
	გაიხსენებს ლიმფადენოპათიის საწყისს გამოკვლევებს და ლიმფური კვანძების ასპირაციის/ბიოფსიის ჩვენებებს
	გაიხსენებს საექვო ტუმბერკულოზის შემთხვევაში ნაჩვენებ გამოკვლევებს.
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლენს ლიმფადენოპათიით მიმდინარე დაავადებისთვის დამახასიათებელ სიმტომებსა და რისკ ფაქტორებს
	შესძლებს პაციენტის გასინჯვას ლიმფადენოპათიის და მასთან დაკავშირებული დაავადების სიმტომების გამოსავლენად
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და მოახდენს მათ ინტერპრეტაციას.
	საჭიროებისამებრ შესძლებს მკურნალობის დაწყებას
გ)ქცევა	გაითვალისწინებს პაციენტის სუბიექტური შეხედულებების ლიმფადენოპათიით მიმდინარე დაავადების შემთხვევაში
	საჭიროებისამებრ შესძლებს უფროსი კოლეგებისა და სპეციელისტების ჩართვას
	გაითვალისწინებს საზარდულის ლიმფადენოპათიის კავშირს სქესობრივი გზით მიმდინარე ინფექციებთან, მოახდენს პაციენტის სწორ შეფასებას და სათანადო გადამისამართებას შესაბამისი დარგის სპეციელისტთან
20.	წელის ტკივილი

ა)ცოდნა	შესძლებს წელის ტკივილისა და თირკმლის კოლიკის ყველაზე გავრცელებული და სერიოზული მიზეზების ჩამოთვლას
	გაიხსენებს წელის ტკივილთან და თირკმლის კოლიკასთან ასოცირებულ სხვა სიმპტომებს
	გაიხსენებს სასწრაფო ივუ/კტ კვლევების ჩვენებებსა და უკუჩვენებებს
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლენს წელის ტკივილის სხვადასხვა მიზეზის რისკ ფაქტორებს
	შესძლებს პაციენტის სრულ ფიზიკალურ გასინჯვას თირკმლის დაზიანების ნიშნების გამოვლენის მიზნით
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და მოახდენს მათ სწორ ინტერპრეტაციას: სისხლის ანალიზები, შსა, შარდის ბაქტერიოლოგია, მიკროსკოპია, რადიოლოგია, ექოსკოპია
	შესძლებს სათანადო ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების დანიშვნას
	ინფექციური გამწვავების შემთხვევაში შესძლებს სათანადო ანტიბიოტიკების დანიშვნას
გ)ქცევა	შესძლებს თირკმლის ფუნქციის დაქვეითების ნიშნების დროულ ამოცნობას
	თირკმლის ფუნქციის გაუარესების შემთხვევაში ჩართავს უფროსს კოლეგებსა და ნეფროლოგებს
	საჭიროებისამებრ ჩართავს უროლოგთა გუნდს
	ანტიბიოტიკების დანიშვნისას გაითვალისწინებს ადგილობრივ გაიდლაინებს
	გაითვალისწინებს გენეტიკური დაავადებების მნიშვნელობას: მაგ. მოზრდილთა პოლიკისტოზურ თირკმლის დაავადებას
21.	ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები რეზიდენტი შესძლებს ოპერაციისა და კრიტიკული დავადების შემდგომ წარმოქმნილი პრობლემების შეფასებას, გამოკვლევასა და მკურნალობას, და გაითვალისწინებს პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობას
ა)ცოდნა	გაიხსენებს პოსტოპერაციულ პაციენტში წარმოქმნილ გართულებებსა და მათ გამოვლენას
	გაიხსენებს ატიპურად მიმდინარე გართულებების მიზეზებს
	გაიხსენებს სხვადასხვა კლინიკური სიმპტომის დროს, როგორცაა ჰაერის უკმარისობა, ტკივილი გულმკერდის არეში, რესპირატორული უკმარისობა, გონების დაბინდვა, ცხელება, კოლაპსი, სიხლდენა კუჭნაწლავის ტრაქტიდან, რეკომენდირებულ გამოკვლევებს
ბ)უნარ-ჩვევები	დროულად გამოიცნობს პაციენტის კრიტიკულ მდგომარეობას და დაიწყებს სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარებას
	დიფერენციული დიაგნოზის ჩამოყალიბების მიზნით შეაფასებს პაციენტის სწორი ანამნეზისა და გასინჯვის გზით
	გარემოებებიდან გამომდინარე ქირურგებთან კონსულტაციის შემდეგ დაიწყებს სათანადო მკურნალობას
	საჭიროებისამებრ დაიწყებს თრომბოზის საწინააღმდეგო საპროფილაქტიკო ღონისძიებებს
	ხელს შეუწყობს საპროფილაქტიკო ზომების გატარებას: თრომბოზის პროფილაქტიკას, ფიზიოთერაპიას, ტკივილის ადექვატურ გაყუჩებას
გ)ქცევა	გაითვალისწინებს თრომბო-ემბოლიური გართულებების მნიშვნელობას და მათ

	საწინააღმდეგო ღონისძიებებს პოსტოპრეაციულ და კრტიკული დავადების მქონე პაციენტებში
	გაითვალისწინებს გართულებების წინააღმდეგ მიმართულ პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობას: ღრმა ვენების თლომბოზის პროფილაქტიკას, ეფექტურ ტკივილგაყუჩებას, კვებას, კუჭის დაცვას
	საჭიროებისამებრ მიმართოს უფროს კოლეგებს
	გაითვალისწინებს ქირურგიული გუნდის ჩართვის აუცილებლობას
22.	ორსულობის დროს აღმოცენებული პრობლემები რეზიდენტი შესძლებს ორსულობის დროს წარმოქმნილი როგორც ფართედ გავრცელებული, ასევე სერიოზული გართულებების შეფასებას, გამოკვლევას და მართვას
ა)ცოდნა	გაითვალისწინებს რეპროდუქციული ასაკის ქალბატონის შესაძლო ორსულობას
	გაიხსენებს ნორმალური ორსულობისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს
	ეცოდინება ქრონიკული დაავადებების ზეგავლენა როგორც დედის, ასევე ნაყოფის ჯანმრთელობაზე: მაგ. შაქრიანი დიაბეტი
	შესძლებს ორსულობის დროს გამოვლენილი ყველაზე ხშირი გართულებების ჩამოთვლას
	გაითვალისწინებს ორსულობის დროს გამოვლენილი დარღვევების დიაგნოსტიკის თავისებურებებს
	გაიხსენებს ორსულობის დროს წამლების დანიშვნის უსაფრთხოების წესებს
	გაითვალისწინებს ორსულობასთან დაკავშირებული დავადებების არსებობას: მაგ. ეკლამპსია
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს ორსული პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის სწორ შეფასებას
	შესძლებს სარეანიმაციო ღონისძიებების დაწყებას და დროულად მიმართავს უფროსს კოლეგებსა და მეანებს
	შესძლებს ორსული პაციენტისგან სწორი ანამნეზის შეკრებას
	ჩამოაყალიბებს სწორ დიფერენციულ დიაგნოზს
	გარემოებებიდან გამომდინარე დაიწყებს მკურნალობას
გ)ქცევა	გაითვალისწინებს დედისა და ნაყოფის ორგანიზმებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას
	გამოკვლევებისა და მკურნალობის პროცესში მიმართავს მეანებს კონსულტაციისთვის
	აღნიშნულ შემთხვევას დროულად განიხილავს უფროსს კოლეგებთან
	ორსულობის დროს ახლად აღმოცენებული დარღვევების გამოვლენისას, როგორცაა მაგ. სიყვითლე, დიაბეტი, დროულად მიმართავს სპეცილისტებს
	გაითვალისწინებს ორსულობის დროს თრომბოემბოლიური გართულებების რისკს
23.	მეხსიერების დაქვეითება (პროგრესირებადი) რეზიდენტი შესძლებს მეხსიერების პროგრესირებადი დაქვეითებით შემოსული პაციენტის სიმპტომების სიმძიმის შეფასებას, გაატარებს დიფ. დიაგნოზს, ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და ჩამოაყალიბებს მართვის სქემას
ა)ცოდნა	გაიხსენებს დემენციის იმ კლინიკურ ნიშნებს, რაც მას თავის ტვინის

	ფოკალური დაზიანების, შექცევადი ენცეფალოპათიების და ფევდო-დემენციისგან განასხვავებს
	გაიხსენებს მეხსიერების დაქვეითების შექცევად/შეუქცევად მიზეზებს
	გაიხსენებს იმ ფაქტორებს, რაც დემენციის სიმპტომების გაუარესებას უწყობს ხელს: მედიკამენტები, ინფექციური პროცესი, გარემო პირობების შეცვლა, ბიოქიმიური დარღვევები, ყაბზობა
ბუნარ-ჩვევები	შესძლებს სწორი თანმხლები ანამნეზის შეკრებას
	ჩამოაყალიბებს დიფერენციულ დიაგნოზს
	ჩაატარებს სრულ ფიზიკალურ გამოკვლევას და ყურადღებას მიაქცევს მეხსიერების დაქვეითების და ნევროლოგიური დარღვევების გამომწვევი შექცევადი მიზეზების არსებობას
	შესძლებს კოგნიტური დარღვევების ხარისხის დადგენას
	შექცევადი მიზეზების დადგენის მიზნით შესძლებს გამოკვლევების ჩატარებას და მათ ინტერპრეტაციას: მაგ. სისხლის ანალიზები, თავის ტვინის CT და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა, EEG
	შესძლებს გამამწვავებელი ფაქტორების გამოვლენას და მათ კორექციას
აქცევა	პაციენტთან და მის ახლობლებთან ურთიერთობისას გამოიჩენს თანაგრძნობას
	გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საავადმყოფოს გარემოში მოხვედრა იწვევს სიმპტომების გამწვავებას
	პაციენტის ახლობლებს შესთავაზებს სხვადასხვა დამხმარე ორგანიზაციებთან ურთიერთობას
	პაციენტის მოვლას იხელმძვანებლებს მულტიდისციპლინური მიდგომით: მაგ. ფიზიკური თერაპიები, მოხუცებულთა მოვლის გუნდები, გერიატრიული ფსიქიატრები, სოციალური სამსახურები
	განსაზღვრავს სპეცილისტების ჩართვის აუცილებლობას
24.	შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები რეზიდენტი შესძლებს შარდვასთან დაკავშირებული პრობლემებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფ. დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს შარდვასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევ მიზეზებს, რაც ოლიგურიითა და საშარდე გზების ობსტრუქციით ვლინდება
	გაიხსენებს იმ მეთოდებს, რაც ოლიგურიას შარდის ბუშტის გასავლის ობსტრუქციისგან განასხვავებს
	გაიხსენებს პროსტატის კიბოს შესაბამის გამოკვლევებსა და მის მართვას
	წარმოდგენა ექნება იმ მედიკამენტებზე, რომლებიც პროსტატის პრობლემების დროს გამოიყენება
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს პაციენტის გასინჯვას თირკმლის დაავადებებისა და საშარდე გზების ობსტრუქციის ნიშნების გამოსავლენად და შეაფასებს მის ვოლემიურ სტატუსს
	შესძლებს პრე-რენული, რენული, პოსტრენული უკმარისობის ერთმანეთისგან გარჩევას
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და მოახდენს მათ სწორ ინტერპრეტაციას: შსა, მუცლის და მენჯის ღრუს ექოსკოპია, შარდის ბაქტერიოლოგია და მიკროსკოპია

	საჭიროებისამებრ დაიწყებს მკურნალობას
	ჩაატარებს პაციენტისთვის მინიმალური დისკომფორტის მიყენებით ასეპტიურ კათეტერიზაციას
	გაითვალისწინებს შარდის ბუშტის კათეტერიზაციის გართულებებს და შემდეგს მათ მართვას
	გამოიცნობს მოსალოდნელ შოკს და დაიწყებს მის მკურნალობას
გ)ქცევა	შარდის ბუშტის ობსტრუქციის შემთხვევაში გაითვალისწინებს თირკმლის ფუნქციის მოსალოდნელ გაუარსებას და შესძლებს მის პრევენციას
	მიმართავს უფროსი კოლეგების დახმარებას ოლიგურიით გამოვლენილი მოსალოდნელი შოკის შემთხვევაში
	მიმართავს დახმარებისთვის შესაბამისი დარგის სპეციელისტებს (გინეკოლოგს, უროლოგს), შარდის ბუშტის ობსტრუქციით გამოწვეული ოლიგურიის დროს
25.	ტკივილი კისრის მიდამოში რეზიდენტი შესძლებს კისრის მიდამოში ტკივილით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს კისრის ტკივილის როგორც შედარებით ფართედ გავრცელებულ, ასევე სერიოზულ მიზეზებს, როგორცაა მენინგიზმი, ძვალკუნთოვანი, სისხლძარღვოვანი, ზურგის ტვინის დაზიანებები
	გაიხსენებს ლუმბარული პუნქციის ჩვენებებს
ბ)უნარ-ჩვევები	შეკრებს დეტალურ ანამნეზს, ბოლო დროს მიღებული ტრამვის არსებობაზე ყურადღების გამახვილებით
	ჩაატარებს პაციენტის სრულფასოვან გასინჯვას თანმხლები ნიშნების გამოვლენის მიზნით
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და მოახდენს მათ ინტერპრეტაციას: მაგ. სისხლის ანალიზები, რენტგენოგრამა, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციები
	გამოიცნობს მენინგიტს და დაიწყებს დაუყოვნებლივ მკურნალობას უფროს კოლეგებთან კონსულტაციის შემდეგ
	დაეუფლება ტკივილის მართვას
	შესძლებს ლუმბარული პუნქციის ჩატარებას და მოახდენს მიღებული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაციას
გ)ქცევა	კრიტიკული მდგომარეობისა, ან ფოკალური ნევროლოგიური ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართავს უფროს კოლეგების დახმარებას
26.	ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე რეზიდენტი შესძლებს პაციენტის სწორ შეფასებას და გამოკვლევას, რათა გამოიტანოს დასკვნა, რომ ორგანული დაავადების არსებობა ნაკლებად სავარაუდოა. ასევე ჩამოაყალიბებს სამოქმედო გეგმას
ა)ცოდნა	გაიხსენებს იმ სიმპტომებს, რასაც ორგანული საფუძველი არ აქვთ
ბ)უნარ-ჩვევები	შეკრებს სრულ ანამნეზს, შფოთვის ან დეპრესიის თანმხლებ სიმპტომებზე ყურადღების მიპყრობით
	შესძლებს სრული ფიზიკური გამოკვლევის ჩატარებას, მათ შორის, მენტალური სტატუსის შეფასებას
	გაითვალისწინებს ჰიპერვენტილაციის სინდრომის არსებობას

გ)ქცევა	მიიღებს ჩივილებს, როგორც ორგანული გენეზის მატარებლებს და ამის უარყოფამდე ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს
	საჭიროებისამებრ მიმართავს უფროსი კოლეგების დახმარებას
	გამოიძიებს არაორგანული ჩივილების გამომწვევი ფაქტორების არსებობას: მაგ. ცხოვრებისეულ სტრესს, ჰიპოქონდრიას
	გაითვალისწინებს არასაჭირო ტესტების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და იატროგენულ გართულებებს
27.	პოლიდიფსია რეზიდენტი შესძლებს პოლოდიფსიით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს წყურვილის მექანიზმებს
	გაიხსენებს პოლიდიფსიის გავრცელებულ მიზეზებს
ბ)უნარ-ჩვევები	გამოავლენს სხვა თანმხლებ სიმპტომებს, მაგ. ნოქტურიას
	ჩაატარებს საწყის გამოკვლევებს და მოახდენს მათ ინტერპრეტაციას დაიწყებს შესაბამის მკურნალობას
	გააგრძელებს ბაზისურ მკურნალობას და საჭიროებისამებრ ჩართავს დამატებითს
გ)ქცევა	აუხსნის პაციენტს პოლიდიფსიის მიზეზებს
	ინვაზიური პროცედირების დროს გამოიყენებს ასეპტიურ ტექნიკას იანტროგენული ინფექციის თავიდან აცილების მიზნით
28.	პოლიურია რეზიდენტი შესძლებს პოლიურიით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	განსაზღვრავს ჭეშმარიტი პოლიურიის არსს
	გაიხსენებს პოლიურიის მიზეზებს (ოსმოსურ დიურეზს, უშარქო დიაბეტს და სხვას)
	გაიხსენებს უშარქო დიაბეტის პათოფიზიოლოგიას
	გაიგებს ახლად აღმოცენებული შაქრიანი დიაბეტის და ჰიპერკალცემიის მკურნალობის პრინციპებს
	გამოავლენს სხვა თანმხლებ სიმპტომებს
ბ)უნარ-ჩვევები	ჩაატარებს სრულ ფიზიკალურ გამოკვლევას და შეაფასებს ვოლემიურ სტატუსს
	ჩაატარებს შესაბამის გამოკვლევებს და მოახდენს მათ ინტერპრეტაციას
	შესძლებს შრატის და შარდის ოსმოლარობის დათვლას
	დაიწყებს შესაბამის მკურნალობას
	დაიცავს სითხის ბალანსს ქრონიკული და მწვავე თირკმლის უკმარისობების პოლიურიულ ფაზებში
გ)ქცევა	მიმართავს უფროსი კოლეგების დახმარებას საჭიროებისამებრ
29.	ქავილი რეზიდენტი შესძლებს ქავილით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და

	მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს ქავილის გამომწვევ ძირითად მიზეზებს (მაგ. კანის პირველად დაავადებებს, სისტემურ დაავადებებს, ლიმფომას, ღვიძლის პათოლოგიებს, ორსულობას და სხვა
	გაიხსენებს კანის დაავადებების მკურნალობის პრინციპებს
	ეცოდინება სპეციალისტის კონსულტაციისათვის ჩვენება
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს პაციენტის გასინჯვას ქავილის გამომწვევი ნიშნების გამოვლენის მიზნით
	ზედმიწვევით აღწერს ნებისმიერი ტიპის გამონაყარს
	ჩამოაყალიბებს დიფერენციულ დიაგნოზს
	გაითვალისწინებს კანის კიბოს გამოვლენის ნიშნებს
გ)ქცევა	გაითვალისწინებს დერმატოლოგის ჩართვის აუცილებლობას
	სისტემური დაავადების არსებობაზე ეჭვის შემთხვევაში გაითვალისწინებს სხვა სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობას
30.	სისხლდენა სწორი ნაწლავიდან რეზიდენტი შესძლებს სწორი ნაწლავიდან სისხლდენით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს სწორი ნაწლავიდან სისხლდენის მიზეზებს
	გაიხსენებს ქირურგიული რევიზიის ჩვენებებს
	გაიხსენებს ნაწლავის ანთებითი დაავადების მკურნალობის პრინციპებს
ბ)უნარ_ჩვევები	შეკრებს ანამნეზს და ჩაატარებს სრულფასოვან ფიზიკალურ გამოკვლევას რექტალური გასინჯვის ჩათვლით
	მართავს შოკურ მდომარეობაში მყოფ პაციენტს და დროულად მიმართავს ქირურგებს დახმარებისთვის
	ჩაატარებს პირველად გამოკვლევებს და მოახდენს მათ ინტერპეტაციას
	შეეცდება კლინიკური ნიშნების საფუძველზე გაარჩიოს ზედა და ქვედა კუჭნაწლავის ტრაქტიდან არსებულ სისხლდენას ერთმანეთისგან
ქცევა	საჭიროებისამებრ მიმართოს უფროს კოლეგებსა და ქირურგებს
	გაითვალისწინოს ნაწლავის ანთებითი დაავადების მქონე პაციენტის მოვლის თავისებურებებს
31.	კანსა და პირის ღრუში არსებული წყლულები რეზიდენტი შესძლებს კანსა და პირის ღრუში არსებული წყლულებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფ. დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	შესძლებს კანსა და პირის ღრუშუ აღმოცენებული წყლულების სერიოზული მიზეზების ჩამოთვლას
	შესძლებს გამომწვევი მიზეზის საფუძველზე კანის წყლულების კლასიფიკაციას
	შესძლებს დიაბეტური წყლულების პათფიზიოლოგიის, გამოკვლევების და მკურნალობის პრინციპების ჩამოთვლას
	გაიხსენებს პირის ღრუში არსებულ წყლულებსა და იმუნოპულოზურ დაავადებებს შორის კავშირებს
ბ)უნარ-ჩვევები	გამოიცნობს კანისა და პირის ღრუს შესაძლო ავთვისებიან სიმსივნეებს

	გამოიცნობს კანის წყლულებით გამოვლენილ სიცოცხლისათვის საშიშ დავადებებს, დაიწყებს მათ მკურნალობას და მიმართავს უფროს კოლეგებს დახმარებისთვის
	შეაფასებს და დეგემავს დიაბეტური ტერფის მართვას
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და შესძლებს მათ სწორ ინტერპრეტაციას
აქცევა	გაითვალისწინებს ნაწილებისა და დიაბეტური წყლულების პრევენციის მეთოდებს
	ჩართავს მულტიდისციპლინურ გუნდს: შესაბამის ექთნებს, პედიატრებს
32.	მეტყველების გაძნელება რეზიდენტი შესძლებს მეტყველების გაძნელებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს დიზართრიის, დისფონიის და დისფაზიის გამომწვევ მიზეზებს
	გაიხსენებს მეტყველებასთან დაკავშირებული სტრუქტურების ნეიროანატომიას ერთმანეთისგან განასხვავებს რეცეპტულ და ექსპრესიულ დისფაზიას
ბ)უნარ-ჩვევები	შესძლებს მეტყველების დარღვევის მქონე პაციენტისგან ანამნეზის შეკრებას
	გასინჯავს პაციენტს მეტყველების დარღვევის მიზეზის და სხვა თანმხლები სიმპტომის გამოვლენის მიზნით
	ჩამოაყალიბებს დიფერენციულ დიაგნოზს
	ჩაატარებს სათანადო გამოკვლევებს და შესძლებს მათ ინტერპრეტაციას
აქცევა	გაითვალისწინებს მეტყველების და ენის თერაპიის როლს
	გაითვალისწინებს დიზართრიას და ყლაპვის გაძნელებას შორის კავშირს და დაარიგებს პაციენტებსა და მათ ახლობლებს შესაბამისი რეკომენდაციებით
	საჭიროებისამებრ ჩართავს ნევროლოგებს
33.	ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები რეზიდენტი შესძლებს ყლაპვის გაძნელებით შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	გაიხსენებს ყლაპვის ფიზიოლოგიას
	გაიხსენებს ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევ მიზეზებს
	შესძლებს ნევროლოგიური და კუჭნაწლავის პრობლემებით გამოწვეული მიზეზების ერთმანეთისგან განხვავებას
	გაიხსენებს კვლევის მეთოდებს: კონტრასტულ კვლევას, ენდოსკოპიას, მანომეტრიას, კტ-ს
	წარმოდგენა ექნება საყლაპავის კიბოს მკურნალობის მეთოდების შესახებ
	წარმოდგენა ექნება საყლაპავის სტრუქტურების მკურნალობის შესახებ
ბ)უნარ-ჩვევები	შეკრებს ანამნეზს, რათა გამოავლინოს გამომწვევი მიზეზის მიმანიშნებელი სიმპტომები: წონაში კლება, ასპირაცია, გულმძმარვა
	გასინჯავს პაციენტს და შესძლებს ნევროლოგიური დარღვევების, ან ავთვისებიანი პროცესის არსებობის გამოვლენას. შესძლებს იმის შეფასებაც, უსაფრთხოა, თუ არა პაციენტისთვის პერორალური გზით საკვების ან სითხის მიღება
აქცევა	გაითვალისწინებს მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობას

34.	სინკოპე და პრესინკოპე რეზიდენტი შესძლებს სინკოპეთი, ან პრესინკოპეთი შემოსული პაციენტის შეფასებას, დიფერენციული დიაგნოზის გატარებას, სათანადო გამოკვლევების ჩატარებას და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმარებას
ა)ცოდნა	განსაზღვრავს სინკოპეს მნიშვნელობას გაიხსენებს სინკოპეს გამომწვევ მიზეზებს გაიხსენებს სინკოპეს პათოფიზიოლოგიას (ვაზოვაგალური, ხველებით გამოწვეული, დაძაბვის, შარდვასთან ასოცირებული, კაროტიდული სინუსის ჰიპერმგრძნობლობა) შესძლებს კოლაფსის სხვა მიზეზებისგან გარჩევას ასოცირებული სიმპტომების და მოწმეების მონაყოლის საფუძველზე გაიხსენებს სტაციონარიზაციის ჩვენებებს გაიხსენებს კარდიული მონიტორინგის ჩვენებებს
ბ)უნარ-ჩვევები	განსაზღვრავს ავტომობილის მართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს შესძლებს პაციენტისა და მოწმისგან დეტალური ანამნეზის შეკრებას, რათა ნათელი მოფინოს აღნიშნულ ეპიზოდს გაარჩევს პრესინკოპეს გონების დაბინდვის სხვა მიზეზებისგან შეაფასებს პაციენტს ABC და ცნობიერების დონის მიხედვით და შესძლებს მის სათანადო მართვას გასინჯავს პაციენტს გულსისხლძარღვთა დარღვევის ნიშნების გამოვლენის მიზნით ჩაატარებს საწყისს გამოკვლევებს და შესძლებს მათ სწორ ინტერპრეტაციას: მაგ. სისხლის ანალიზები, ეკგ
გ)ქცევა	გაითვალისწინებს , თუ რა ზეგავლენა შესაძლოა მოახდინოს ამ ეპიზოდებმა პაციენტის, განსაკუთრებით კი მოხუცებულის ცხოვრების ხარისხზე ითვალისწინებს ავტომობილის მართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს
